ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ნატოს კარი საქართველოსთვის ისევ ღიაა

გვ.2

მოსთხოვს თუ არა რობერტ სიმონსი პასუხს ხელისუფლებას



პარასკევი, 9 ოქტომბერი, 2009 №264 (5005) ფასი: 30 თეთრი

# უკრაინა საქართველოს იარაღს ისევ აწვდის

იარაღის სკანდალი გრძელდება გვ.6



## ცაგარეიშვილი მერაბიშვილის დასჯას ითხოვს

გვ.2



## სააკაშვილის მთავარი ამოცანა ქვეყნის სათავეში დარჩენაა

გვ.3

## მთავრობა ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას ამცირებს

გვ.3

## ხალხს ქუჩაში პროტესტი გამოიყვანს

გვ.5

ოპოზიციას სტრატეგია ჯერ ჩამოყალიბებული არა აქვს





## სააკაშვილის გამო საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში არ მოექცევა

გვ.5

## ხეთაგურსა და ტყეშელაშვილს პარლამენტში იბარებენ

გვ.5



## ბიზნესი ხელისუფლებისგან დაუცველია

გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება დაუშვებელია

გვ.6

## ვერშბოუ საქართველოში 19 ოქტომბერს ჩამოვა

გვ.2



## საქართველო შესაძლოა ფულის გათეთრების ადგილად იქცეს

გვ.4



## ვალერი კვარაცხელია აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება

გვ.6

**2** ლაგოდეხის გამგეობაში ფინანსური პოლიცია შევიდა

**4** გუსინსკი: სააკაშვილი ჩემს კუთვნილ მედიას უსამართლოდ მოექცა

**3** ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში ორი მოსწავლე გაზით მოიწამლა

**4** ლეიბორისტებმა ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ცაგარეიშვილი მერაბიშვილის დასჯას ითხოვს

ნანა მიშელაშვილი



**კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნების მოთხოვნით მიმართავს.**

პარლამენტში გუშინ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა და იური ვაზაგაშვილმა. მათ ახალაღმოჩენილ გარემოებებზე ისაუბრეს და ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგინეს.

— თბილისში, 2006 წლის 2 მაისს, კორტებთან რამდენიმე ახალგაზრდა ჩაცხრილეს მანქანში, შემდეგ ეს ყველაფერი ისე შეიფუთა, რომ ეს იყო კარგად ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებმაც პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს და პოლიცია იძულებული იყო დამნაშავეები გაენადგურებინა, — აღნიშა გიორგი ცაგარეიშვილმა.



მისი განცხადებით, ამ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის დასკვნაა, რომელიც საქართველოს მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი.

— მარტო ამ დასკვნის შედეგად ძალიან ბევრი თანამდებობის პირი უნდა მიეცეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები, რომელთა უშუალო ჩარევით განხორციელდა ეს საზარელი მკვლელობა, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

### ვაზაგაშვილის მკვლელობის გამო მანაც უნდა აგოს პასუხი

მან პრესკონფერენციაზე წარმოადგინა ფოტოსურათი, სადაც დაფიქსირებულია თუ როგორ გადაჰყავთ ბმვ-ს მარკის ავტომობილი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ცაგარეიშვილის განმარტებით, ფოტოსურათზე ჩანს, რომ მანქანის უკანა საქარე მინა ჩამსხვრეული არ არის. ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომზე გადაღებული სურათის მიხედვით, მანქანას უკანა საქარე მინა ჩამსხვრეული აქვს. „ანუ ექსპერტიზის დასკვნა გაყალბებულია. ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე შლის იმ ვერსიას, რომ მანქანიდან პოლიციელების მიმართულებით ეს ახალგაზრდები აწარმოებდნენ სროლას, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა. მისი თქმით, იმ ადამიანების მიმართ, ვინც მტკიცებულებები გააყალბა, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო, თუმცა, ეს არ მომხდარა.

— ეს მასალები გადაეგზავნება მთავარ პროკურატურას და თვალი მივადევნოთ, როგორ გადაწყდება საქმე, როგორ დააპირებს ბატონი მურთაზ ზოდელავა ამ ფაქტების უგულებელყოფას. გამოიძიონ საქმე, ვინ გააყალბა მტკიცებულებები? როდის იყო ჩამსხვრეული უკანა საქარე მინა? რას აკეთებდნენ ეს ადამიანები? რატომ გაწყვიტეს ეს ახალგაზრდები? რატომ იყო მიბჯენით ნასროლი ტყვიები თავის არეში? — აინტერესებს გიორგი ცაგარეიშვილს.

პრესკონფერენციაზე მოკლული ზურა ვაზაგაშვილის მამამ ისაუბრა თვითმხილველთა მიერ მიცემულ ჩვენებებზე და სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულ ალტერნატიულ დასკვნაზე.

— ამ სამწელ-ნახევრის განმავლობაში უამრავი მტკიცებულება გვქონდა, მივმართავდით ქვეყნის პრეზიდენტს, გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს, მაგრამ პასუხის გაცემასაც არ კადრულობდნენ. პირიქით, იმის მაგივრად რომ გულთან მიეტანათ და ეცნოთ ეს მტკიცებულებად, ოჯახზე მიდიოდა ზეწოლა, შანტაჟი, — აღნიშნა იური ვაზაგაშვილმა.

მისივე თქმით, ამ წლების მანძილზე, ოჯახი ალტერნატიულ ექსპერტიზას ითხოვდა, რასაც ვერ მიაღწია. იური ვაზაგაშვილმა მადლობა გადაუხადა ყოფილ სახალხო დამცველს, სოზარ სუბარს, რომელმაც შეისწავლა საქმე, ალტერნატიული ექსპერტიზა მოითხოვა და ამას მიაღწია.

იური ვაზაგაშვილის თქმით, ალტერნატიული დასკვნა დაიდო, რომლის თანახმადაც, მანქანიდან არავითარ სროლას ადგილი არ ჰქონდა, მანქანაში დენთის კვალი არ არის, მასრები ჩაყრილია არასწორად, შიგნიდან არც ერთი გამომავალი ნატყვიარი არ არის, უკანა საქარე მინა იყო მთლიანი. მისივე სიტყვებით, სოზარ სუბარმა პრაქტიკულად საბრალდებო დასკვნა დადო. იური ვაზაგაშვილის განმარტებით, არც ერთი პოლიტიკური პარტია, არც საპარლამენტო და არც არასაპარლამენტო, ამ საკითხით არ დაინტერესებულა.

იური ვაზაგაშვილმა დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილს მიმართა, რომ ეს საქმე კონტროლზე აიყვანოს და ახალი გარემოების აღმოჩენის გამო, მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყოს.

იური ვაზაგაშვილი ამბობს, რომ მას აქვს ვიდეოკასეტაზე თვითმხილველების ჩანაწერები, უამრავი მტკიცებულება, ჩვენებები და ახსნა-განმარტებები.

— ამ მკვლელობაში ჩართული არიან მაღალჩინოსნები, რომლებიც დაინტრესებული არიან, რომ საქმე არ გაიხსნას, — ამბობს იური ვაზაგაშვილი.

დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი იური ვაზაგაშვილს დაჰპირდა, რომ ახალაღმოჩენილ გარემოებებს და საქმის მასალებს მთავარ პროკურორს გადაუგზავნის და მის პასუხს დაელოდება.

# ნატოს კარი საქართველოსთვის ისევ ღიაა

## მოსთხოვს თუ არა რობერტ სიმონსი პასუხს ხელისუფლებას

ნათია ხურცილავა

ნატოს სპეციალური წარმომადგენელი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში საქართველოში იმყოფება. ტალიავინის დასკვნის შემდეგ ეს რობერტ სიმონსის პირველი ვიზიტია საქართველოში. ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენლის საქართველოში ვიზიტს თბილისში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

თბილისში ჩამოსულმა რობერტ სიმონსმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ ნატოს პოზიციები საქართველოსთან მიმართებით არ იცვლება და ნატოს კარი ღიაა, თუმცა სიმონსმა, ისე, როგორც თავისი წინა ვიზიტების დროს, ყურადღება შიდა პროცესებზე, დემოკრატიის განვითარებაზე გაამახვილა.

რობერტ სიმონსი ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. 17 ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა შეხვედრას, თუმცა სიმონსთან შესახვედრად არ მოსულან „ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლები. ერთსაათიან დახურულ შეხვედრაზე ოპოზიციის ლიდერებმა ყურადღება ქვეყნის შიდა პროცესებზე გაამახვილეს.

როგორც ცნობილი გახდა, ყურადღება საარჩევნო სისტემასა და არჩევნების თავისუფლად ჩატარებაზე იყო გამახვილებული, ასევე იმაზე, თუ რამდენად რეალურია ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა. შეხვედრას არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიცია ერთად ესწრებოდნენ.

— ნატოს აქვს ამბიცია, რომ საქართველო მისი წევრი გახდეს. ჩვენ ვსაუბრობთ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეხვედრა ოპოზიციის ლიდერებთან, განვიხილეთ ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხი, — ამბობს რობერტ სიმონსი.



სიმონსთან შეხვედრაზე „ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მელაშვილი, როგორც თავად ამბობს, იმიტომ მივიდა, რომ ერთადერთი კითხვა დაესვა მისთვის.

— 2006 წელს რობერტ სიმონსი კონფერენციაზე იყო ჩამოსული, სადაც განცხადება გააკეთა: ნატოსთან დაახლოებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ ოთხი ამოცანა უნდა გადაჭრას — პირველი, ძლიერი არმია შექმნას, მეორე — რუსეთთან ურთიერთობები დაალაგოს, შიდა დემოკრატია დაამყაროს და ტერიტორიული პრობლემები გადაჭრას. ახლა ძალიან მაინტერესებს მისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეასრულა ხელისუფლებამ მისი ეს რეკომენდაციები. საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულნი, მათ არ აქვთ ინფორმაციის ნაკლებობა. მთავარია, მათი დასკვნები რამდენად არის ადეკვატური. ძალიან კარგად იციან, რა დემოკრატიაა საქართველოში. რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, ეს არის ის იარაღი, როცა ევროკავშირი როდესაც უნდა მაშინ გამიყენებს რუსეთის წინააღმდეგ, როცა უნდა — საქართველოს წინააღმდეგ. ნატოში საქართველოს გაერთიანება დიდ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, რომელიც პირველ რიგში ევროპულ სახელმწიფოებს შორის უნდა მოხდეს. ძველი ევროპა ნატოს საქართველოში გაწევრიანების წინააღმდეგია. ტალიავინის დასკვნა შეიძლება კომპონენტი იყოს ჩვენზე ზემოქმედებისთვის ან პირიქით, — გვითხრა შეხვედრის წინ მელაშვილმა.

შეხვედრას „ლეიბორისტებიც" ესწრებოდნენ. ნესტან კირთაძემ ნატოს ოფიციალურ წარმომადგენელს რამდენიმე კითხვა დაუსვა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და მის უსაფრთხოებას ეხებოდა.

### ოპოზიციამ ნატოს წარმომადგენელი დაკითხა

— ჩემი შეკითხვა ქვეყნის უსაფრთხოებას, მის ტერიტორიულ მთლიანობას ეხებოდა, ასევე იმას, თუ რას ფიქრობს ნატო საქართველოს მიღებაზე თავის წევრად, დაშლილ ფორმატში თუ გაერთიანებული ქვეყნის სტატუსით. ეს არის ის საკითხები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, — ამბობს კირთაძე.

გიორგი თარგამაძის აზრით, რობერტ სიმონსის განცხადებით არანაირი ტალიავინის კომისიის დასკვნა არ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი ნატოსკენ მიმავალ გზაზე.

ეკა ბესელია, „ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენელი:

— ევროატლანტიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და გაწევრიანება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ქვეყანაში იქნება თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პირობები, დამოუკიდებელი სასამართლო, არ იქნებიან პოლიტიკური პატიმრები, მედია, საარჩევნო კოდექსი იქნება თავისუფალი. ამის გარეშე შეუძლებელია ნატოში ინტეგრაცია. ამიტომ ვამბობ, რომ ნატოში ინტეგრაცია ვერ მოხერხდება სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში. ეს არის ხელისშემშლელი ფაქტორები. ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია ნატოში, ევროპულ ოჯახში გაწევრიანება, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის გამო ეს პროცესი გაჩერებულია. ქვეყანაში გვყავს პოლიტპატიმრები, თავისუფალი სიტყვა იზღუდება. ასეთ ქვეყანას ნატოში არავინ მიიღებს. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს არჩევანი, რა უნდა მას — დემოკრატიული ცვლილებები, რეალური ცვლილებები და არის ამაზე წამსვლელი თუ უნდა, ისევ ავტორიტარული რეჟიმის მმართველობის პირობებში დავრჩეთ. ეს არჩევანი უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატოში, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია მხოლოდ და მხოლოდ ამოცანა, მიზანი, პრიორიტეტი იქნება და არასოდეს მიიღწევა. ნათელია, რომ მიხეილ სააკაშვილს არ აქვს პირადი მხარდაჭერა. დიდი ხანია ეს ილუზორული თემა უკვე ფარდაჩამოხსნილია. მხარდაჭერა აქვს საქართველოს და ქართველ ხალხს. მხარდაჭერა არ ექნება ხელისუფლებას, რომელსაც არ უნდა დემოკრატიული ცვლილებების გატარება. ეს არაერთხელ ითქვა. სხვათა შორის, ეს თქვა ბატონმა ბაიდენმა თავისი ვიზიტის დროს.

რობერტ სიმონსი დღეს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება. როგორც შეხვედრიდან გამოსული ოპოზიცია აცხადებს, ნატოს გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობისთვის ხელისუფლებას პასუხი უნდა მოსთხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატოში გაწევრიანების სურვილი სურვილად დარჩება.

### ლაგოდეხის გამგეობაში ფინანსური პოლიცია შევიდა

სოფლის დახმარების პროგრამით ჩატარებული სამუშაოების შესწავლის მიზნით, ლაგოდეხის გამგეობაში ფინანსური პოლიცია შევიდა.

როგორც „პირველს" რადიო „ჰერეთიდან" აცნობეს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის მაცხოვრებელმა ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს საჩივარით მიმართეს, რომელშიც ისინი სოფელში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს არსებულ დარღვევებზე მიუთითებენ და პოლიციას საქმის შესწავლას სთხოვენ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელის გია გოზალიშვილის განცხადებით, ფინანსურმა პოლიციამ განხორციელებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია გაითხოვა და ახლა მისი შესწავლა მიმდინარეობს.

დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოების შემსრულებლის შპს "წყაროს" ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

**პირველი**

### ვერშბოუ საქართველოში 19 ოქტომბერს ჩამოვა

19 ოქტომბერს საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით აშშ-ს სამთავრობო დელეგაცია ჩამოვა, რომელსაც აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ უხელმძღვანელებს.



ამერიკული მედიის ინფორმაციით, შეხვედრისას მხარეები განიხილავენ საქართველოს არმიის რეფორმირების საკითხს, საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და ავღანეთში მიმდინარე ოპერაციაში ქართველი სამხედროების მონაწილობის საკითხს.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში გაიმართება უსაფრთხოების საკითხებში ქართულ-ამერიკული სამთავრობოთაშორისო სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა. ამ სხდომების ჩატარებას 2009 წლის იანვარში გაფორმებული ქართულ-ამერიკული ქარტია ითვალისწინებს.

ამ სამუშაო ჯგუფების სხდომები მიმდინარე წლის ნოემბერში და დეკემბერშიც გაიმართება.

**მედიანიუსი**

### აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქეს 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

აზერბაიჯანის სასამართლომ საქართველოს მოქალაქეს ულფეტა ბაირამოვს საქართველოს მოქალაქის იგორ ვიკოლსკის მკვლელობისთვის 12 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ბაირამოვი და ვიკოლსკი გორადილის დასახლებაში მშენებლობაზე მუშაობდნენ. მიმდინარე წლის 17 აპრილს მათ სპირტიანი სასმელები მიიღეს, მშენებლებს შორის ჩხუბი ატყდა, რომლის დროსაც ბაირამოვმა ვიკოლსკი მოკლა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# მთავრობა ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას ამცირებს

ნანა მიშელაშვილი

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მთავრობა ყველაზე საჭირო პროექტების დაფინანსებას ამცირებს.

გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა მაგდა ანიკაშვილმა და იმ პროექტებზე ისაუბრა, რომლის დაფინანსებაც შესაძლოა შემცირდეს.




— ქრისტიან-დემოკრატები საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ჯანდაცვის ნაწილში მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებს ვაპროტესტებთ. პროექტი ჯანდაცვის კუთხით საზოგადოებას უმძიმეს შედეგებს მოუტანს, — განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა.

მისი თქმით, მთავრობა ამცირებს ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებას. მაგდა ანიკაშვილის განცხადებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის პროგრამა 4 მილიონიდან მცირდება 1 მილიონ ლარამდე, გულის ქირურგია — 8,5-დან 4,5-მდე, რეფერალური სახელმწიფო პროგრამა — 19,5-დან 16-მდე.

— ეს უმნიშვნელოვანესი პროგრამები აქამდეც დეფიციტური იყო. ვერ აკმაყოფილებდა პაციენტთა საჭიროებას. ქრისტიან-დემოკრატები მათი დაფინანსების გაზრდას ვითხოვდით. პროექტის შემოტანის შემდეგ კი შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ამ სახით ბიუჯეტის დამტკიცება — ეს იქნება ათასობით ადამიანის სასიკვდილოდ გაწირვა, — აღნიშნა ანიკაშვილმა.

დეპუტატის თქმით, ქრისტიან-დემოკრატები ყველა კანონიერ საშუალებას გამოიყენებენ, რომ ეს ციფრები შეიცვალოს და მოქალაქეების ჯანმრთელობა დაცული იყოს.

## ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში ორი მოსწავლე გაზით მოიწამლა

ქუთაისის პირველ საჯარო სკოლაში ორი მოსწავლე გაზით მოიწამლა.დაზარალებული მოსწავლეები ამ დროისთვის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებიან. ექიმების განცხადებით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პედაგოგები ინცინდენტის მიზეზად სკოლასთან ახლოს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს ასახელებენ.

— ქალაქის მერიასთან სამუშაოებს ერთ-ერთი კერძო კომპანია აწარმოებს. ბუნებრივი აირის მილებიც სავარაუდოდ, მათ გადაჭრეს, რის შემდეგაც, აირის გამონაბოლქვმა სკოლის შენობაში შეაღწია, — აცხადებს სკოლის დირექტორი თამაზ ცხადაძე. მომხდარის გამო სკოლაში სასწავლო პროცესი დროებით ჩაიშალა, თუმცა ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ სწავლის პროცესი განახლდა.

**პირველი**

# სააკაშვილის მთავარი ამოცანა ქვეყნის სათავეში დარჩენაა

შორენა კოწოწაშვილი

**— თუ ჩვენ მოვახერხებთ კონსტიტუციის გზით კანონის ფარგლებში სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას, ტალიავინის კომისიის დასკვნა შეიძლება ბევრ რამეში გამოგვადგეს, იგივე რუსეთთან ურთიერთობაში, — აცხადებს ალიანსი საქართველოსთვის წევრი დავით ზურაბიშვილი.**

რაც შეეხება იმას, გასამართლდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი ჩადენილი დანაშაულისთვის ჰააგაში, დავით ზურაბიშვილის პასუხი ასეთია: „რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი შესასწავლად უკვე გადაცემულია ჰააგის სასამართლოს საგამოძიებო ჯგუფისთვის და გამოძიება დაწყებულია. საქმეს უკვე მიეცა სერიოზული მსვლელობა“.

გთავაზობთ ინტერვიუს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დავით ზურაბიშვილთან:

***— ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, რატომ არ აღიარებს ხელისუფლება, რომ მისთვის ტალიავინის კომისიის დასკვნა უმძიმესია, საერთოდ, რას იტყვით ამ დასკვნასთან დაკავშირებით?***

— რატომ არ აღიარებს, ეს მარტივი მისახვედრია, რომ აღიაროს, უნდა გამოვიდეს სააკაშვილი და ხალხს უნდა უთხრას — მე თქვენ ერთი წელი გატყუებდით. სხვა რაღაცას გეუბნებოდით, სინამდვილეში კი სხვა რაღაცა აღმოჩნდა. ანდა უნდა თქვას: მე მართალი ვიყავი და ეს ევროპელები, ტალიავინი და სხვა გამყიდველები არიან. ვერც ერთს იტყვის და ვერც მეორეს, ამიტომ მესამე ტყუილს იძახის: დასკვნაში ყველაფერი ისე წერია, როგორც ჩვენ ვამბობდითო. ამ შემთხვევაში ხელისუფლება არის ჩიხში. ცხადია, შეცდომა იქნა დაშვებული, როდესაც თავიდანვე იქნა აღებული ისეთი ვერსია, რომლის დადასტურება იყო აბსოლუტურად გამორიცხული. ეს არის სააკაშვილის შეცდომა და თანაც, ეს საქართველოს სახელმწიფოს თავზე ხდება და არა მხოლოდ სააკაშვილის მიმართ არის ეს დასკვნა მძიმე. ქვეყნისთვის, ცხადია, კარგი არ არის, როდესაც მისი ხელმძღვანელობა დადანაშაულებულია იმაში, რომ სწორედ მან დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები. ეს დასკვნაში პირდაპირ წერია. თუ ჩვენ მოვახერხებთ კონსტიტუციის გზით, კანონის ფარგლებში სააკაშვილის ხელისუფლებისაგან ჩამოცილებას, ეს დასკვნა შეიძლება ბევრ რამეში გამოგვადგეს იგივე რუსეთთან ურთიერთობაში, იმიტომ, რომ რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე იმ დასკვნაში გაცილებით მეტი წერია. მეტი კი წერია და ბევრი ბერკეტი შეიძლება ამით მიიღო, მაგრამ სააკშვილის ხელისუფლება ამ ბერკეტების გამომყენებელი ვერ არის. იმიტომ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ამ დასკვნის მიხედვით თვითონაც არის კონფლიქტის დაწყებაზე პასუხისმგებელი.

***— რატომ აირჩია რეალობის დაფარვის პოლიტიკა პრეზიდენტმა, ფიქრობდა, რომ სიმართლის გადაფარვას შეძლებდა იგივე საერთაშორისო კომისიისთვის?***

— არ ვიცი, ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. უბრალოდ, მე მაინც ვვარაუდობ, რომ იმდენად მიეჩვია სააკაშვილის ხელისუფლება ბუშის ადმინისტრაციის პირობებს, რომ ყველაფერი გასდიოდა და თან ყველგან, ეტყობა თავი ველარ შეიკავა. ვინ ვინ და ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცოდა, როგორი დემოკრატიის შუქურა იყო და მერე ამას საზღვარგარეთ როგორ წარმოაჩენდა. იცოდა, როგორი გაყალბებული არჩევნები ჩატარდა ქვეყანაში. ამ ყველაფერმა აფიქრებინა სააკაშვილს, რომ ის მოახერხებდა პიარ-ვერსიის გატანას. ალბათ, ეს იფიქრა, არ ვიცი. საერთოდ, ამ ხელისუფლებას არაფრის აღიარება არ შეუძლია. ეს იმის ბუნებაში არ არის. ის ვერ აღიარებს. ეს ხელისუფლება ნებისმიერ აღიარებას თვლის სასიკვდილო საფრთხედ და სისუსტედ. ეს არის ამ ხელისუფლების ძალიან დიდი პრობლემა.

***— არაერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს, რომ დასკვნაში მოცემული ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარების პროცესი გააქტიურდეს. თქვენ ამას გამორიცხავთ?***

— არა მგონია, რომ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება ამ დასკვნაზე იყოს დამოკიდებული. თუმცა, რუსეთი ამაზე მუშაობს და რაც მეტ ხანს იქნება სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყნის სათავეში, არ არის გამორიცხული, რომ ვენესუელას და ნიკარაგუას სხვა ქვეყნებიც მიემატოს. ეს გამორიცხული არ არის. ეს საფრთხე არსებობს. თუმცა, ეს საფრთხე უშუალოდ ტალიავინის კომისიის დასკვნიდან არ გამომდინარეობს.

***— ანუ დასკვნა ოკუპირებული რეგიონების აღიარებისთვის ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს?***

— რაღაც გარკვეული ხელისშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს. ამას ნუ გამოვრიცხავთ. უბრალოდ, ამ ხელისუფლებას არ აქვს რესურსი. მას უბრალოდ არ სურს ხელისუფლებას როგორმე ჩამოსცილდეს. ხელისუფლებას სრული იდენტობა აქვს სახელმწიფოსთან. სააკაშვილი ამბობს, მე ვარ სახელმწიფო, ჩემი გუნდი. ასეთ პირობებში ცხადია, როცა ქვეყანა ჩიხშია, ჩიხიდან გამოსავალი არ არსებობს. ჩიხიდან გამოსასვლელად სხვა გზა უნდა ნახო.



***— ბატონო დავით, რას იტყვით, ორი დღის წინ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ ეკონომიკურ თავისუფლების აქტზე. ექსპერტები თვლიან, რომ ეს ტალიავინის კომისიის დასკვნის გადასაფარად გაკეთდა.***

— ესეც არის, რა თქმა უნდა. ეს არის წმინდა პიარაქცია. საერთოდ, სადავოა თავისთავად ლიბერალიზაციის ასეთი ფორმა და საქართველოს სინგაპურიზაციის პერსპექტივა. ეს ძალიან სადავოა. წმინდა ეკონომიკურ პარამეტრებზე მე არ ვლაპარაკობ. საერთოდ, ლიბერალური ეკონომიკა იდეაში არ არსებობს, თუ ქვეყანაში არ არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო სისტემა. ეს არის სრულიად გამორიცხული. ახლა მე ვაკეთებ კახა ბენდუქიძის ციტირებას. ეს მან თქვა, როცა საქართველოში ჩამოვიდა. მაგრამ ის მერე სხვა ჭკუაზე დადგა. ლიბერალური ეკონომიკა არ არსებობს დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლოს გარეშე. როცა სასამართლო პროკურატურის ნოტარიუსია, იქ ვერანაირი ლიბერალური ეკონომიკა ვერ იმუშავებს. მე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ გადასახადებზე რეფერენდუმი უნდა მოაწყო და ა.შ.

***— დასაშვებად მიგაჩნიათ გადასახადების მომატებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება?***

— ესეც პიარაქციაა, რომ სადღაც თავი მოიწონოს. ალბათ, ფიქრობს, ამით საქართველოში ინვესტიციების შემოდინება გაადვილდება. როგორ შემოვა ინვესტიციები, როცა ცენტრალურ მაგისტრალზე ასეთი სიტუაციაა. ეს არ არის ის გზა, რომელიც რეალურად მოიტანს საქართველოში ინვესტიციებს.

***— პრეზიდენტის თქმით, კონსტიტუციით და კანონმდებლობით იქნება დაცული ქვეყანაში კერძო საკუთრება და ბიზნესის ინტერესები.***

— აქამდე რაც არის, რა, იმას იცავენ?! ჩვენთან ერთი პრობლემაა, კანონმდებლობა. უფრო დიდი

## ყველაზე დიდი საპროტესტო მუხტი გაყალბებულ არჩევნებს ახლავს

პრობლემაა, რომ კანონში ერთი წერია და რეალურად სხვა კეთდება. კანონში რაც არ უნდა ჩაწერო, რომ მოსამართლისთვის დარეკვა, მოსამართლეზე ზეწოლა არ შეიძლება, თუ პოლიტიკური ნება არ არსბეობს, ეს მაინც არ გაკეთდება. დღეს მთავარი პრობლემა სწორედ პოლიტიკურ ნებაშია.

***— ზოგიერთის აზრით, პრეზიდენტის ბოლო განცხადებები აგონიაში მყოფი ხელისუფლების გამოსვლებია.***

— აგონია სააკაშვილს ძალიან გაეჭიმა. მე საერთოდ ვფიქრობ, რომ სააკაშვილმა დიდი ხანია ამოწურა თავისი პოლიტიკური შესაძლებლობები. 2007 წლიდან ეს მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ იყოს ხელისუფლებაში. ქვეყნის ინტერესები, ქვეყნის განვითარება — განათლების, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის და ა.შ. განვითარება, ეს მეორე პლანზე არის გადატანილი. სააკაშვილის მთავარი ამოცანაა, როგორმე ქვეყნის სათავეში დარჩეს. ეს ორი წელი ამას ახერხებს. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა კი ყოველ ჩვენგანს ძალიან ძვირი უჯდება.

***— ეკონომიკური ექსპერტები ფიქრობენ, რომ აბსურდამდე დადის სააკაშვილის და ამ გუნდის საკანონმდებლო ინიციატივები. გამორიცხავთ, რომ ვინმეს ამ კუთხით პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავდეს გამიზნულად?***

— სააკაშვილს კარგად ვიცნობ და მას ეკონომიკის ისევე არაფერი ესმის, როგორც ჩინური ენის გრამატიკა. მისთვის ეკონომიკა ეს არის — შემოვა უცხოელი და ააშენებს რაღაცას. ამის იქით მისი პოზიცია არ მიდის. ამასთან, ფული უნდა ჰქონდეს პირადად მას და მთავრობას. აი, ეს არის მისი ეკონომიკური ხედვები. ეს პოლიტიკა, ვითომ ლიბერალური ეკონომიკის შეხედულებები, რომ ვითომ ყველაფერი გახსნილია, ვითომ სრული თავისუფლება ბიზნესის კეთებაში.

***— ანუ ეკონომიკაში ისევ ბენდუქიძის ინტერესები ტარდება?***

— ცხადია. ეს ბენდუქიძის ინტერესებია. ეს გარკვეული ჯგუფის ინტერესებია, რომელიც კანონმდებლობის ასეთ ფორმულირებაში რაღაც კონკრეტული ფულის გაკეთების სარგებელს ხედავენ. სხვას მე ამაში ვერ ვხედავ. სერიოზულად ამის აღქმა ძალიან რთულია.

***— ბენდუქიძესთან მიმართებაში მუდმივად ისმოდა, რომ ის საქართველოში რუსულ ინტერესებს ახორციელებდა. ინტერვენციის შემდეგაც საქართველოს ეკონომიკაში რუსული ინტერესი ხორციელდება?***

— არ ვიცი. მე მგონია, რომ ბენდუქიძე თავის პოლიტიკას ახორციელებს და ყველაფერს აკეთებს მარტო საკუთარი თავისთვის. მე ასე უფრო ვხედავ. ეს ინტერესები რუსეთის ინტერესებს ემთხვევა თუ არა, ამაზე ძნელია ილაპარაკო. როცა ლაპარაკია იმაზე, რომ კაპიტალს თურმე საზღვრები არ აქვს და სულ ერთია, რომელი კომპანია იქნება და ვინ რას იყიდის, ეს უკვე საეჭვო ამბავია. ცხადია, რუსული ინტერესი რომ არის ბიზნესში წარმოდგენილი, ეს ჩვენ კარგად ვიცით. რუსული ბიზნესი და რუსული პოლიტიკა ერთმანეთისგან განუყოფელია. ისედაც ყველაფერი რუსული კომპანიების ხელშია ამ ქვეყანაში. ასე რომ, ასეთი ეჭვების საფუძველი, ბუნებრივია, არის. ამის გარდა, მსგავსი რაღაცებით კარგი ფულიც კეთდება.

***— ბატონო დავით, თქვენ ახსენეთ, რომ სააკაშვილი ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნების გზით უნდა ჩამოსცილდესო. თქვენ კონსტრუქციული ნაბიჯების მომხრე ხართ, მეორე ნაწილი კი ოპოზიციის მართებულ სვლას სერიოზულ საპროტესტო ტალღაში ხედავს...***

— პროტესტი უნდა გამოითქვას. თუ არჩევნები არა, მაშინ რა? ნებსიმიერი არჩევნები, მათ შორის თბილისის მერის და ადგილობრივი არჩევნებიც არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამ არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება რადიკალურად შეცვლის სიტუაციას. იგივე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებიც მერე ხდება გაცილებით რეალური. არსებობს რაღაც ეტაპები და ნაბიჯები. თუ ჩვენ გვინდა, რომ ქუჩაში გამოვიდეთ და სააკაშვილი ამით გაიქცეს. ასე არ გაიქცევა. თუმცა, ქუჩიდან ზეწოლა და აქციებიც ძალიან მნიშვნელოვანია.

***— თქვენი ალიანსი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მომხრე იყო. ახლა მერის არჩევნები გაკმაყოფილებთ?***

— ჩვენ ახლაც ვუჭერთ მხარს ამ მოთხოვნას. თუ სააკაშვილი გადადგება და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, წინააღმდეგი არა ვართ. კალთებს არ დავახევთ ნამდვილად. მაგრამ როცა გეგმას აგებ, რეალისტური უნდა ააგო. ჩვენი მთავარი ამოცანა ამ შემთხვევაში არის ის, რაც რეალისტურად მიგვაჩნია და განხორციელებისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებშია. სააკაშვილის საითკენ მიჰყავს ქვეყანა, კარგად ვხედავთ. ალიანსის ამოცანაა, მოვლენათა ესკალაცია არ დაუშვას და ხელისუფლება არჩევნების გზით გაუშვას. ამას როგორ მოვახერხებთ და რა ბერკეტებს გამოვიყენებთ, ეს უკვე ტაქტიკის საკითხია. გარანტიები აქ არ არსებობს. ჩვენ თუ ხელისუფლებას კიდევ ვაცალეთ, ცხადია, ის რაღაც უბედურებამდე კიდევ მიგვიყვანს. სააკაშვილს რომ ვუყურებ და ვუსმენ, უკვე მეშინია.

***— ფიქრობთ, რომ სააკაშვილი და მერაბიშვილი დაუშვებენ, რომ თბილისის მერი ოპოზიციიდან მოვიდეს?***

— მათ ხომ ამის არანაირი სურვილი არ აქვთ. ამაში ეჭვი არ მეპარება. მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ, ჩვენი გავიტანოთ. თუ არ გამოვა და სხვა რაღაც იქნება, მაშინ თუ საპროტესტო მუხტზეა ლაპარაკი, ყველაზე დიდი საპროტესტო მუხტი გაყალბებულ არჩევნებს ახლავს. გაიხსენეთ იანვრის არჩევნების შემდეგ რა ხდებოდა. ყველაზე დიდი გამოსვლა მაშინ იყო. ხალხი არ ტყუვდება. რამდენიც არ უნდა იძახო, მე მოვიგეო, თუ წააგე, არაფერი იმალება.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# საქართველო შესაძლოა ფულის გათეთრების ადგილად იქცეს

გერა მამულაშვილი

**პრეზიდენტის ახალ ეკონომიკურ ინიციატივებს პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში აქტიურად განიხილავენ. დღეს ამ თემაზე „ახალ თაობას“ პოლიტოლოგი ვახტანგ ხმალაძე ესაუბრება.**

*— როგორ აფასებთ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ პარლამენტში გაჟღერებულ ახალ ეკონომიკურ ინიციატივებს?*

— მე დავიწყებ გადასახადებთან დაკავშირებული განცხადებით. როგორც ჩვენ მოვისმინეთ, კონსტიტუციით აპირებენ დააწესონ, რომ სახელმწიფოს არ ექნება რაიმე გადასახადის შემოღების, ან ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდის უფლება, ამ საკითხში რეფერენდუმზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილების გარეშე. ერთი შეხედვით ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, როცა ხალხს ჰკითხავენ — თანახმა ხართ თუ არა, რომ გავზარდოთ გადასახადი; ან შემოვიღოთ თუ არა ახალი გადასახადი; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რაც კი მსოფლიოში შეიქმნა, მეტნაკლებად ორგანიზებული საზოგადოებები, მხედველობაში მაქვს წარმართული პერიოდიც (ანუ ქრისტემდელი პერიოდიც და ქრისტეს შემდგომაც) ჯერჯერობით ასეთი იდეა თავში არავის მოსვლია. და აქვე ვიტყოდი — ცოტა არ იყოს საეჭვოა (ძალიან რბილად თუ ვიტყვით), რომ კაცობრიობის განვითარების მთელი დროის მანძილზე, ამ საკითხში ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე გონიერი ჩვენი ხელისუფლება აღმოჩნდა.

და რატომ არ არის ეს სხვაგან გაკეთებული, ამას თავისი ძალიან ლოგიკური მიზეზები აქვს. ერთი რომ სახელმწიფოში არსებულმა მდგომარეობამ შეიძლება შექმნას ისეთი ვითარება, როდესაც სრულიად აუცილებელი ხდება რაიმე გადასახადის განაკვეთის გაზრდა, ან რაიმე ახალი ტიპის გადასახადის შემოღება. ეს მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული და ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანდა.

თუმცა, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ეკონომიკურ თეორიაში ეს საკითხები ძალიან კარგად არის შესწავლილი და ძალიან კარგად არის გახსნილი სხვადასხვა ტიპის გადასახადების ბუნება; ახსნილია გადასახადების როლი და ეს როლი არის არა მარტო ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას სჭირდება ფული თავისივე ფუნქციების შესასრულებლად, არამედ ისიც, რომ გადასახადების მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ტიპის საქმიანობის ან ხელშეწყობა და სტიმულირება, ან პირიქით შეზღუდვა. და ასეთი რამ უნდა კეთდებოდეს, რასაკვირველია, მხოლოდ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

***— ამის საილუსტრაციოდ რას მოგვიყვანთ?***

— მაგალითისთვის გეტყვით: ვთქვათ, კაზინოებისთვის ყველგან მაღალი გადასახადებია და დავუშვათ საგანმანათლებლო მომსახურებისთვის პირიქით დაბალია. მე მგონი, ახსნის გარეშეც სავსებით გასაგებია ამის მიზეზები რა არის. ეს ერთი საკითხია. მეორე — გადასახადების გაზრდის რეფერენდუმზე გატანა იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ განწირული იქნება უარყოფითი შედეგისთვის. იმიტომ, რომ ძალიან ძნელია მთელ შენს საზოგადოებას, უმრავლესობას კარგად გააგებინო ის, რომ მან საკუთარი ჯიბიდან მეტი ფული უნდა ამოიღოს და მისცეს სახელმწიფოს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის განვითარების დონე და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან დაბალია. და ბოლო არგუმენტსაც გეტყვით. რაც არის უაღრესად სახიფათო მომენტი. ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს ხოლმე ახალი არჩევნების წინ რაღაც ისეთი გააკეთოს, რომლითაც ამომრჩევლებს თავისკენ მიიზიდავს და ამით მოიპოვებს უპირატესობას სხვებზე. ზოგჯერ ხელისუფლების ასეთი მოქმედება არის ხოლმე ძალიან არაგონივრული. ასეც მომხდარა არა მარტო ჩვენთან, არამედ ძალიან ბევრგან. და ახლა წარმოვიდგინოთ ხელისუფლების შესაძლო მოქმედება, სწორედ არაგონიერის მოქმედება არჩევნების წინ, როდესაც აშკარად ხედავს, რომ კარგავს ხელისუფლებას. მან ხომ შეიძლება გადადგას სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯი და მკვეთრად შეამციროს გადასახადები; ან გააუქმოს საერთოდ ზოგიერთი მათგანი.

***— და რა შედეგები ექნება ამას?***



— რასაკვირველია, ძალიან ბევრისთვის, ეკონომიკაში არაგათვითცნობიერებული ადამიანისთვის ეს იქნება ძალიან სასიამოვნო სიახლე. მას არ დასჭირდება თავისი შემოსავლიდან გარკვეული თანხების, ზოგჯერ საკმაოდ მტკივნეული თანხის გადახდა ხელისუფლებისთვის. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ამის შედეგი. მოვიდა ახალი ხელისუფლება და აღმოჩნდა ის იმ მდგომარეობაში, როდესაც ხაზინა ველარ ივსება. ველარ ივსება იმიტომ, რომ გადასახადები ძალიან შემცირებულია. არადა ამ ხელისუფლებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და ქვეყანა არის მოსავლელი. ცხადია ხელისუფლება ამის გაკეთებას ვერ შეძლებს; ის მოითხოვს გადასახადების აწევას, ამაზე ხალხი მას მხარს არ დაუჭერს; ხელისუფლება ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს და ამას მოჰყვება კრიზისი. რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი

## ხელისუფლება კონსტიტუციას თავისი სურვილით ჭრის და კერავს

მხრიდან ხელისუფლების დაკარგვა; შეიძლება გამოიწვიოს ქაოსი ქვეყანაში; და სხვათა შორის აქვე ვიტყვი, რომ ზუსტად იგივე მოუვათ იმავე გადასახადების დამწევებს, თუკი ისევ ისინი აღმოჩნდებიან ხელისუფლებაში თავისივე პოპულისტური მოქმედებების შედეგად. ამიტომ ქვეყანაში შეიქმნება უაღრესად მძიმე მდგომარეობა და რის გამო? პოპულისტური და არაგონივრული გადაწყვეტილებების გამო. ამიტომ არის სწორედ, რომ არსად არა თუ ის არ წერია, რომ გადასახადების გაზრდა არ შეიძლება რეფერენდუმის გარეშე; უფრო მეტიც, ბევრგან წერია, რომ არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა გადასახადების შემოღების, გაუქმების, ან მათი განაკვეთების გამო. პირდაპირი აკრძალვაა ამისი. რადგანაც ეს იმდენად სპეციფიკური თემაა, რომ ამას იმდენად მაღალპროფესიულ დონეზე სჭირდება მომზადება და გადაწყვეტა, რომ უდიდესი უმრავლესობისთვის საზოგადოებისა ამის გაგება მიუწვდომელია. ახლა იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენი დღევანდელი მოქმედი კონსტიტუცია ასეთ ნორმას პირდაპირ ეწინააღმდეგება. კონსტიტუციაში წერია, რომ არ შეიძლება რეფერენდუმის მეშვეობით კანონის მიღება, ან მისი გაუქმება. გადასახადების შემოღება, გაუქმება, განაკვეთის აწევა, დაწევა, ყველაფერი ეს ხდება კანონით. ამდენად, თუ მაინც მოინდომებენ ამ უგუნურების ჩადენას, ხელისუფლებას მოუწევს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა. ისე, აქვე ვიტყვი, რომ ესეც მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს და კონსტიტუციას აგერ უკვე რამდენი წელია, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ.

***— ანუ თქვენ ამ ინიციატივას უფრო წინასაარჩევნო ბრძოლის კონტექსტში განიხილავთ?***

— შეგვიძლია ასეც განვიხილოთ, როგორც წინასაარჩევნო პოპულისტური განცხადება. მაგრამ ეს წინასაარჩევნოც რომ არ იყოს, უბრალოდ ცნობილია, რომ ხელისუფლების რეიტინგი ძალიან დაცემულია და დაცემულია არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. და ასეთი განცხადებებით ხელისუფლება ცდილობს თავისი რეიტინგის გაზრდას ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, იმას ცდილობს, რომ მოიზიდოს ინვესტორები გარედან.

ახლა წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც ინვესტორი გარანტირებულია იმით, რომ გადასახადები შეიძლება მხოლოდ დაიწიოს და ფაქტობრივად ვერ მოხდება მათი აწევა. ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის მიმზიდველი ფაქტორი იქნება და რატომ არიან ოფშორები მიმზიდველები? ძალიან დაბალი გადასახადებია, ან საერთოდ არ არის იქ გადასახადები. და იმავდროულად დაცული არის იქ განთავსებული ფულის პატრონთა ანონიმურობა. ასეთ ზონებში ხდება ფულების გათეთრება, ის ისრუტავს ამ დიდ თანხებს და იქ რაღაც განვითარებული ეკონომიკური აქტივობებიდან იღებს თავის შემოსავლებს. მაგრამ სიმართლე გითხრათ, სრულიადაც არ მინდა, რომ საქართველო ფულის გათეთრების ადგილად იქცეს. ეს ჩვენ სიკეთეს არ მოგვიტანს.

***— რაც შეეხება ბიუჯეტის არაუმეტეს სამპროცენტიან დეფიციტს?***

— ძალიანაც კარგი; თუ საერთოდ არ იქნება დეფიციტი მთლად უკეთესი. და ბიუჯეტი თუ ყოველთვის პროფიციტული იქნება, ეს ხომ მთლად უკეთესი. მაგრამ არ შეიძლება ხელისუფლებამ საკუთარ თავს დაადოს ხელბორკილები და შეზღუდოს საკუთარი თავი იმით, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ამდენ პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს. ხომ არავინ ვიცით ზუსტად და ზოგჯერ მიახლოებითაც კი, რა იქნება უახლოეს მომავალში. რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქვეყანა; მაგალითად, სხვა ჩვეულებრივ გავრცელებულ კრიზისებს თავი რომ დავანებოთ, ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს ომის მდგომარეობაში. და მითხრას ვინმემ, ვთქვათ, ომის მდგომარეობაში შესაძლებელი იქნება კი ასეთი დეფიციტის ძალიან დაბალ დონეზე შენარჩუნება? ეს არსად არ ყოფილა შესაძლებელი და ვერსად ვერ იქნება ვერასდროს შესაძლებელი.

რადგან ომის პერიოდში მკვეთრად მცირდება ეკონომიკური აქტიურობა. შესაბამისად მცირდება საგადასახადო შემოსავლები. და სახელმწიფოს მხრიდან კი შესასრულებელი რჩება ის ვალდებულებები, რომლებიც მას უპირველეს ყოვლისა აქვს თავისი მოქალაქეების წინაშე. ეს არის, გნებავთ, სოციალური ვალდებულებები, პენსიები, განათლების დაფინანსება, ჯანდაცვა, თუ უამრავი სხვა რამ; მართლწესრიგის დაცვა, პოლიცია, სხვა სახელმწიფო სტრუქტურები; ამდენად, ამის გაკეთებაც არ შეიძლება. ამიტომ როგორც პირველი, რეფერენდუმის თემა, ასევე მეორე საკითხი არის ისეთი ხელბორკილის დადება, რომლის დადების არათუ აუცილებლობა არსებობს, არამედ რომლის დადებაც ურალოდ სახიფათოა. ბიუჯეტის დეფიციტს ყველა ქვეყანაში განსაზღვრავს პარლამენტი მთავრობის წინადადების საფუძველზე, ყოველი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ანუ ერთი წლით განისაზღვრება ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვები ოდენობა და ამის დასაშვებობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს ძალიან სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშებების საფუძველზე.

## ლეიბორისტებმა ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს

საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართული აუქციონი გააპროტესტეს.

როგორც აქციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ეს აქციები საქართველოს ტყის გადასარჩენად ტარდება.

— დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები დღეს ტყეებს დაერევიან, ხვალ სახლში შემოგვივარდებიან, ზეგ საკარმიდამო ნაკვეთებს წაგვართმევენ, იტყვიან, რომ საჭიროა ნაკვეთების გამსხვილება, უცხოეთიდან შემოიყვანენ ინვესტორებს, ანუ მიდის ქვეყნის მასობრივი დატაცება, განადგურება, სტამბულის ბაზარზე გატანა. ჩვენ ტყის გადასარჩენად ყოველი ტენდერის დროს ვიკრიბებით, უამრავი ტენდერი ჩავშალეთ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ტყის გაყიდვაში მონაწილეობს, სააკაშვილის გადაყენების შემდეგ ყველა ერთ კამერაში მოთავსდებიან, —ააღნიშნა შალვა ნათელაშვილი.

ლეიბორისტები საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აუქციონზე მოხვედრასაც შეეცადნენ. როგორც მათ აღნიშნეს, აუქციონზე მონაწილე ყველა ადამიანისთვის საკადრისი პასუხი უნდა გაეცათ, მაგრამ სამართალდამცავებმა ისინი შენობაში არ შეუშვეს.

**მედიანიუსი**

## შაშკინი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა ქაიდანოუს შეხვდა.

შეხვედრის დროს განიხილეს საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, კიდევ ერთხელ დაადასტურა სრული მხარდაჭერა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების განხორციელების პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში დიმიტრი შაშკინი აშშ-ის დახმარების კოორდინატორს ევროპასა და ევრაზიაში დანიელ როზენბლამსაც შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ ისაუბრეს და ფინანსური მხარდაჭერის ის პაკეტი განიხილეს, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის 1მლრდ აშშ დოლარის ოდენობით გამოყო.

**მედიანიუსი**

## ხობში წმინდა სამების ეკლესია გაქურდეს

ხობის ცენტრში წმინდა სამების ეკლესია გაქურდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხობის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, ტაძარი გუშინწინ საღამოს გაიქურდა. ტაძრიდან დაკარგულია 500 ლარი და სარიტუალო ინვენტარი. ფაქტთან დაკავშირებით პოლიციამ ორი ეჭვმიტანილი დააკავა.

**ინტერპრესნიუსი**

## „რესპუბლიკელებმა“ ქუთაისის მერს კოდექსის ამონარიდები შენობაზე გაუკრეს

რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქუთაისის მერიას დაუპირისპირდნენ. რესპუბლიკელები მერიას საჯარო ინფორმაციის გაუცემლობაში ადანაშაულებენ. რესპუბლიკელებმა ადგილობრივი ჩინოვნიკების მხრიდან ინფორმაციის გასაიდუმლოების ფაქტები მერიის შენობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის გაკვრით გააპროტესტეს. როგორც რესპუბლიკელები აცხადებენ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შესული წერილების იგნორირება ქუთაისის მერსა და სხვა თანამდებობის პირებს უკვე ჩვევად ექცათ.

— ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი საჯარო პირს ავალდებულებს საჯარო ინფორმაცია 10 დღის ვადაში გასცეს. ჩვენ (და არც არავის) ამაზე ხვეწნა არ უნდა გვჭირდებოდეს. თუმცა, ეს საქციელი ამ ხალხს უკვე ჩვევად გადაექცა, დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას არ აწვდიან. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ არც თუ ისე პატიოსნად ცხოვრობენ და მუშაობენ, როგორც ამას თვითონ აცხადებენ. ჩვენ, ამჯერად ქალაქის მერისგან მერიის თანამშრომელთა სახელფასო მონაცემები გამოვითხოვეთ. რაღაც ამ ბოლო დროს, როგორც თავად მერის, ისე ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, ასევე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეების ხელფასები და პრემიები ძალიან გაიზარდა. ხალხს უფლება აქვს, იცოდეს მისი ქალაქის მერი თუ სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც თავად აირჩია (საკრებულო), სახელწიფოსგან რა თანხას იღებენ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი, ხელფასის გარდა, პრემიის სახით საკმაოდ სოლიდურ თანხებს იღებენ. თან ამ ყველაფერს ერთჯერადი სახე არ აქვს, ეს ყოველ ორ, ან სამ თვეში ერთხელ მეორდება, — ამბობს რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნატო ქათამაძე.

ქათამაძის განცხადებითვე, რესპუბლიკურმა პარტიამ სრულყოფილი ინფორმაცია ვერც იმ სარემონტო სამუშაოების შესახებ მიიღო, რომელიც მერიაში თვეებია მიმდინარეობს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თანხები არამიზნობრივად იხარჯება. ქათამაძის განცხადებით, მათი პროტესტი მხოლოდ კოდექსის მუხლების გაკვრით არ შემოიფარგლება. ადგილობრივი რესპუბლიკელები მერიის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს ამზადებს.

**მედიანიუსი**

## გუსინსკი: სააკაშვილი ჩემს კუთვნილ მედიას უსამართლოდ მოექცა

რუსი ყოფილი მედიამაგნატის ვლადიმირ გუსინსკის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უსამართლოდ მოექცა მედიასაშუალებებს, მათ შორის მის კუთვნილ მედიასაც.

ეს განცხადება გუსინსკიმ ებრაულ გამოცემა “მარკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. თუმცა, გუსინსკის არ დაუზუსტებია, თუ რომელ მედიასაშუალებებს ფლობდა ან ფლობს ის საქართველოში.

გუსინსკიმ ისიც აღნიშნა, რომ მას რუსეთში დაბრუნება სურს, მაგრამ ეს ვლადიმირ პუტინზე და დიმიტრი მედვედევზეა დამოკიდებული.

გუსინსკიმ ბორის ბერეზოვსკისთან ურთიერთობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ბოლო პერიოდში იშვიათად ხვდება ბერეზოვსკის, რადგან “უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში არ იზიარებს მის შეხედულებებს“.

რუსეთში გუსინსკის წინააღმდეგ, ჰოლდინგ “მედია-მოსტის“ აქტივების საზღვარგარეთ უკანონო გატანასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ რამდენჯერმე უშედეგოდ მოითხოვა გუსინსკის, რომელიც ისრაელისა და ესპანეთის მოქალაქეა, გადაცემა.

გუსინსკი 2001 წელს ხელისუფლების ზეწოლით რუსეთიდან ისრაელში გაიქცა,

**მედიანიუსი**

## მოძრაობის „შემოგვიერთდით“ ყრილობა შესაძლოა გადაიდოს

მოძრაობის „შემოგვიერთდით“ 15 ოქტომბრისთვის დაგეგმილი ყრილობა შესაძლოა გადაიდოს.

მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლევან ჩიტაძემ „მედიანიუსთან“ საუბრისას ყრილობის შესაძლო გადადების მიზეზად იურიდიული საკითხების მოგვარება დაასახელა.

მისი თქმით, ორგანიზაციის დასარეგისტრირებლად იურიდიული საკითხებია მოსაგვარებელი, რათა ეს დოკუმენტი ნოტარიუსმა დაამოწმოს. ამას კი დრო სჭირდება.

როგორც ცნობილია, მოძრაობა “შემოგვიერთდით“ თბილისში კინოს სახლში ყრილობის გამართვას გეგმავს. აღნიშნულ ყრილობაზე დელეგატები მოძრაობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე თიკო ნიბლოშვილს აირჩევენ.

როგორც ჩიტაძემ აღნიშნა, მოძრაობა “შემოგვიერთდით“ ყრილობის ჩატარების შემდეგ აქციების გამართვასაც გეგმავს. თუ რას გააპროტესტებენ და სად გაიმართება აქციები, ამის შესახებ მოძრაობის წევრები ყრილობაზე ისაუბრებენ.

**მედიანიუსი**

# ხეთაგურსა და ტყეშელაშვილს პარლამენტში იბარებენ

ნანა მიშელაშვილი

დღეს პარლამენტში ორი მინისტრი და სემეკის ხელმძღვანელია დაბარებული. ენერგეტიკის მინისტრს — ალექსანდრე ხეთაგურს, რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრს დავით ტყეშელაშვილს და სემეკის ხელმძღვანელს გურამ ჩალაგაშვილს ანტიკრიზისულ საბჭოში იწვევენ. მათ მიმართ დეპუტატებს გარკვეული შეკითხვები აქვთ.



დეპუტატების ნაწილს აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი რეგიონებში. მინისტრების მიმართ სხვა შეკითხვებიც არსებობს.

ანტიკრიზისული საბჭო 2 თვეზე მეტია არ შეკრებილა. საბჭოს შეკრების ბოლო მცდელობა ზაფხულში ჰქონდა, თუმცა, მაშინ სხდომა ჩაიშალა.

ანტიკრიზისული საბჭოს ოპოზიციონერი წევრები ამბობენ, რომ საბჭოს ბოიკოტი უმრავლესობის წევრებმა გამოუცხადეს. ზაფხულში სწორედ კვორუმის უქონლობის გამო ჩაიშალა ანტიკრიზისული საბჭოს სხდომა. მაშინ ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა პრე-



ზიდენტისთვის მიემართა საბჭოს დაშლის ან მისი შემადგენლობის განახლების მოთხოვნით.

გასულ კვირას კულუარებში ინფორმაცია გავრცელდა, რომ შესაძლოა ანტიკრიზისული საბჭო დაიშალოს. ამის ერთ-ერთ მიზეზად კი დაფინანსების შეწყვეტა დასახელდა. საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძემ ანტიკრიზისული საბჭოს დაშლის შესახებ გავრცელებული ხმები კატეგორიულად უარყო.

გადახალისდება თუ არა ანტიკრიზისული საბჭო და შეიცვლება თუ არა მისი ფორმატი, ეს რამდენიმე ხანში გახდება ცნობილი.

ანტიკრიზისული საბჭო პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა და მასში დეპუტატების გარდა მოწვეული სპეციალისტებიც შედიან. პირველ პერიოდში ანტიკრიზისული საბჭო აქტიურად იკრიბებოდა და მინისტრებს და სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირებს იბარებდა. მოგვიანებით კი ანტიკრიზისული საბჭოს სხდომების ჩატარების სიხშირემ იკლო. ეს იმის გამო ნამდვილად არ მოხდა, რომ ქვეყანაში კრიზისული ვითარება გამოსწორდა და ყველა პრობლემა გადაიჭრა.

როგორ იმუშავებს ანტიკრიზისული საბჭო, გადახალისდება თუ არა მისი შემადგენლობა ან შეიცვლება თუ არა ფორმატი, ამ საკითხზე საბჭოს წევრები კომენტარებს სავარაუდოდ დღეს გააკეთებენ.

# ხალხს ქუჩაში პროტესტი გამოიყვანს

შორენა გონგლაძე

**პოლიტიკურად ცხელი შემოდგომის მოლოდინმა საზოგადოების იმედები აშკარად არ გაამართლა. შემოდგომა საკმაოზე გრილი გამოდგა, თუმცა ოპოზიცია იდეების ნაკლებობას მაინც არ უჩივის და ახალი გაერთიანებისთვის ემზადება. გაამართლებს თუ არა ახალი იდეები, რამდენად იქნება ეს ყველაფერი ორიენტირებული შედეგზე და რა შანსები აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას თვითმმართველობის არჩევნებში, ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე საუბრობს.**

*— ბატონო რამაზ, გაამართლებს თუ არა ახალი ოპოზიციური გაერთიანების იდეა, პოლიტიკურად რამდენად მომგებიანი იქნება იგი?*

— გაერთიანება თავისთავად თუ იქნება თვითმიზანი, რა თქმა უნდა, არ გაამართლებს. ადამიანები ერთიანდებიან იმისთვის, რომ შეძლონ იმაზე მეტი, ვიდრე თითოეულს შეუძლია ცალ-ცალკე. ეს ეხება არა მარტო მომხრეთა რაოდენობის გაზრდას, არამედ კონცეპტუალურ სიახლეებს, ანუ რაც ვერ მოიფიქრა ერთმა, მოიფიქროს მეორემ და ა.შ. ასეთი კონცეპტუალური გამდიდრება თუ მოხდა ამ გაერთიანების ხარჯზე, მაშინ იქნება სიახლეები, მაგრამ, თუ ეს მხოლოდ ავტომატური ჯამი დარჩა ამ პირობებში, უკვე სიახლე არ იქნება, იმიტომ, რომ სააკაშვილთან აპრილის დაპირისპირებებმა გვანახვა — სააკაშვილმა კონცეპტუალურად მოიგო, მისმა სტრატეგიამ მოიგო ამ ეტაპზე. თუ ეს სტრატეგია არ გაუმჯობესდა და იგივე სტრატეგია დარჩა, მაშინ იგივე სტრატეგია იმავე შედეგს მოიტანს.

*— თუმცა მაინც იგივე გვესმის. სიახლე, ფაქტიურად, არაფერია, ქუჩის აქციები და ა.შ. ფაქტიურად, ახალს ვერაფერს სთავაზობს ოპოზიცია საზოგადოებას...*

— ვერ გეტყვით, ვერც ოპოზიციის მსაჯული ვიქნები და ვერც წინასწარმეტყველად გამოვდგები. გამორიცხული არ იქნება, რომ იმავეზეც ხალხმა მხარდაჭერა გამოუცხადოს ოპოზიციას. 2007 და 2008 წლის შედეგები გვახსოვს, მაგრამ 2009-ში საპროტესტოდ ხალხი ისევ შეიკრიბა. ასე რომ, თუ ხელისუფლებამ რაღაც შეცდომები დაუშვა, ხალხის საკუთარი პროტესტი მოიყვანს და არა სტრატეგია, მაგრამ, შედეგზე თუ ვილაპარაკებთ, ძველი სტრატეგია, როგორც უკვე ორმა მცდელობამ დაგვანახვა, დიდად შედეგიანი ვერ იქნება. შეიძლება ოპოზიცია საჯაროდ აცხადებს, რომ იმავე ფორმებს გამოიყენებენ, მაგრამ ამ ფორმების მიმართება როგორი იქნება, სად რა იქნება გამოყენებული ან სად ეგულებათ გამარჯვების ოქროს გასაღები, ამაზეა ლაპარაკი, ეს აქვთ თუ არა ნაპოვნი. ადრე როგორც ამბობდნენ, ეს ოქროს გასაღები ეგულებათ თვითონ სააკაშვილში, რომ ბევრ ხალხს დაინახავს და გაიქცევა, მაგრამ, თუ რაიმე ახალი პრინციპია ნაპოვნი, შეიძლება არ იყოს ნათქვამი და დღევანდელი განცხადებებით მათი სტრატეგიის შეფასება ძნელია.

*— თვითმმართველობის არჩევნებზე რას ფიქრობთ, რამდენად მოახერხებს ოპოზიცია ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანებას?*



— არის მაინცდამაინც გაერთიანება აუცილებელი? ქალაქი ბევრია. თუ მაინცდამაინც თბილისი არ გახდა ცენტრალური სამიზნე, ოპოზიციას აქვს უზარმაზარი არე საბრძოლოდ და შეუძლიათ იბრძოლონ. თბილისის მერობა აღქმულია, როგორც ნაბიჯი საპრეზიდენტო არჩევნებისკენ. მე ამ პრინციპს ვერ დავეთანხმები, რადგანაც ჩემთვის გაუგებარია. რომ ჩამოვთვალოთ ყველა მერი, რომელიც თბილისს ჰყავდა, დღევანდელის ჩათვლით, არც ერთის პოლიტიკური რეიტინგი არ მიახლოებია საპრეზიდენტო ნიშნულს და იმიტომ, რომ ისინი მერები იყვნენ, მათი პრეზიდენტობის შანსი არ გაზრდილა. ასე რომ, რატომ გვაქვს ეს პრინციპად აღებული და საპრეზიდენტო გადმოსახედიდან რატომ ფასდება ეს, ცოტა ბუნდოვანია. ჩემი აზრით, მერობის კანდიდატზე შეთანხმება გაუჭირდებათ, თუმცა, თუ გაიშალა სხვა ქალაქებსა და რეგიონებში ოპოზიციური სპექტრი და იქ მაინც არ შეუშალეს ერთმანეთს ხელი, ალბათ, ადგილობრივმა არჩევნებმა შეიძლება პოლიტიკურად მრავალფეროვანი და საინტერესო სურათი შექმნას, თუ არადა, ალბათ, ხელისუფლება ყველა რგოლში გაიმარჯვებს. გაერთიანების ქვეშ თუ კოორდინაციას ვიგულისხმებთ, ჯერჯერობით ოპოზიციური ძალები არ არის კოორდინირებული. მოახერხებენ თუ არა კოორდინაციას, დაინახავენ თუ არა ამის აუცილებლობას, ამის თქმა ძნელია. წესით, ისეთ არაკოორდინირებულობამდეც არ უნდა მისულიყო საქმე, როგორიც დღეს არის. ეტყობა, თითოეულ პარტიას თავისი შინაგანი სტრატეგიაც არ აქვს ისე მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რომ სხვებთან კოორდინაციის ადგილს ხედავდნენ.

**ოპოზიციას სტრატეგია ჯერ ჩამოყალიბებული არა აქვს**

*— გამოდის, რომ თუ არ მოხდა ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანება, უპირატესობა სახელისუფლებო კანდიდატისკენ იქნება...*

— ყოველ შემთხვევაში, საარჩევნო კანონი, ადმინისტრაცია და რესურსები, ორგანიზებულობა და ერთიანობა იმთავითვე მოცემულია სახელისუფლებო პოლიტიკურ ძალაში და ამდენი პლუსი რომ ერთ მხარს არის, იქ შანსი მეტია.

*— დაბოლოს, როგორ შეაფასეთ ტალიავინის კომისიის დასკვნა?*

— ვუერთდები იმ აზრს, რომ ეს იყო საკმაოდ მრავალმხრივი დასკვნა, რომელმაც დამნაშავედ ცნო ყველა მხარე. მე არ მაქვს ლაპარაკი მხოლოდ რუსეთსა და საქართველოზე. აქ იგულისხმება ევროპაც და ამერიკაც, ანუ ზოგიერთი იმაში დაადანაშაულა ამ დასკვნამ, რომ აქტიური მოქმედება განახორციელეს, ზოგი იმაში, რომ არღვევდა და ახლაც არღვევს საერთაშორისო ნორმებს, ზოგიც იმაში, რომ ამ კონფლიქტურ რეგიონებს უყურადღებოდ ეკიდებოდა წლების განმავლობაში.

*— მოდით, ჩვენს დანაშაულზე ვილაპარაკოთ. ჩვენ დაგვადანაშაულეს იმაში, რომ პირველი გასროლა მოხდა ქართული მხრიდან, რომელსაც ასე თავგამოდებით უარყოფდა ჩვენი ხელისუფლება დღემდე...*

— ჩვენ გვახსოვს ის განცხადებები, რომლებიც იმ დღეებში კეთდებოდა. ის, რასაც დღეს ქართული მხარე ამბობს, რომ რუსები შემოვიდნენ და ამიტომ ვპასუხობთო, მაშინ არ უთქვამთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ქართული მხარე იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ, მგონი, მას ჰქონდა თავდაჯერების სხვა საფუძველი. შეიძლება, იქ იყო რაღაც მექანიზმები, რომ რუსული მხარე არ ჩაბმულიყო. მეორე მხრივ, საქართველოს ჰქონდა დასავლეთის აქტიური მხარდაჭერის იმედი. ამიტომ ეჭვი მაქვს, რომ წაქეზების რაღაც ნიშნები დასავლეთისგან იყო. ასე რომ, ჩემი აზრით, ქართული მხარის დანაშაულთან არ გვაქვს საქმე, შეიძლება, უფრო ზედმეტ თავდაჯერებულობას აქვს ადგილი, რასაც ახალგაზრდა ხელისუფლება სხვა საკითხებშიც ავლენს ხოლმე და შეცდომებსაც უშვებს, თორემ, თავისთავად ის, რომ ერთი წელიწადი ყუმბარებს ესვრიან შენს მოქალაქეებს და შენ მოგიწევს ამაზე პასუხი, ეს სრულიად გასაგებია და, პრინციპში, ალბათ, დიდ ცოდვად არ ჩაითვლება. არც ტალიავინის კომისია თვლის ამას დიდ ცოდვად. ერთადერთი დამატებითი შეცდომა, რაც ამას შემდეგ მოჰყვა, არის ის, რომ ეს ერთი წელიწადი ქართული მხარე ამბობდა, მე პირველს არ გამისვრიაო. ვფიქრობ, ამ ბავშვურმა ტყუილმა ითამაშა ყველაზე ცუდი როლი საქართველოს შეფასებაში. როდესაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერთს ამბობს და მერე მეორე აღმოჩნდება, იქ ნდობა ქრება პოლიტიკოსების ნათქვამის მხრიდან. სამწუხაროდ, ეს უნდობლობა გაჩნდა.

*— მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მაინც აღფრთოვანებულია ამ დასკვნით...*

— მე სწორედ ამას ვუსვამ ხაზს — ხელისუფლებას თავიდანვე რომ ეთქვა, ჩემი მოქალაქეების დასაცავად გადავდგი ეს ნაბიჯი, არის გარკვეული დანაშაული, რომ ამით დაირღვა ხელშეკრულებებიო, მაგრამ მაშინვე თვითონვე რომ დაეძახა მსოფლიოსთვის, შეაჩერეთ აგრესორი, თორემ მე მიწევს ამ ხელშეკრულებების დარღვევაო, მაშინ არ იქნებოდა გაუგებარი. ყველა დანარჩენ საკითხში — ათწლეულების განმავლობაში პროვოცირება, უკანონო ნაბიჯები პასპორტების დარიგებაში, თვითაღიარებაში — ეს ყველაფერი ტალიავინის კომისიამ აღნიშნა და რუსეთს დააკისრა მათი სიმძიმე. საქართველო რასაც რასაც არ ამბობდა, ის რომ ითქვა, ამან ჩაგვაყენა უხერხულ მდგომარეობაში. ჩემი აზრით, თავიდანვე ჯობდა, საქართველოს არ დაემალა და არ დაეწყო მოკლეფეხებიანი ვერსიის წამოყენება. მაშინ არ ჩავარდებოდა იგი უხერხულ მდგომარეობაში, თორემ, საქართველო როგორც აფასებდა რუსეთის მოქმედებას, ის კომისიის შეფასებაშიც ანალოგიურია, გარდა ერთი ტერმინისა — იგი დღეს, სრულიად სამართლიანად, რუსეთს აგრესორს უწოდებს. ტალიავინი ასეთ მკვეთრ ტერმინებს აშკარად მოერიდა.

# სააკაშვილის გამო საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში არ მოექცევა

თეა მარხვაიძე

**ოპოზიცია ევროკომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ აშკარად გააქტიურდა. ისინი ამ დასკვნის დადებას მოუთმენლად ელოდნენ და ახლა სჯერათ, რომ მისით საქართველოში ხელისუფლების შეცვლას შეძლებენ. ამ კვირაში ოპოზიციურმა პარტიებმა გააკეთეს განცხადებები საქართველოსა და სააკაშვილის გამიჯვნასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ამის გაკეთება აუცილებელია, რადგანაც სააკაშვილის გამო საქართველო შეიძლება საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს.**

ამ მოსაზრებას ექსპერტთა ნაწილი არ იზიარებს. მათი განცხადებით, სააკაშვილს და მით უმეტეს საქართველოს ჰააგის ტრიბუნალის წინაშე არ მოუწევს წარდგომა. საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ცენტრის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე დარწმუნებულია, რომ ამ დასკვნის შემდეგ საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში არ მოექცევა. ექსპერტი ოპოზიციას სიმართლის თქმას არ უშლის, თუმცა ურჩევს, რომ შეფასებებში ზომიერება



გამოიჩინონ. რატომ უნდა შეფასდეს ხელისუფლების ქმედებები ზომიერად, ამის შესახებ გეგეშიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

*— ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ საქართველო შეიძლება საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდეს. რამდენად რეალურია ეს საფრთხე?*

— ამ დასკვნასთან დაკავშირებით პირველი შეფასებები უკვე გაკეთდა. შეფასებები გაკეთდება მაშინაც, როცა მთლიანად გაეცნობიან ამ დასკვნას. აქ ძალიან ბევრი და საინტერესო დეტალია და, როგორც ამბობენ, ეშმაკი სწორედ დეტალებშია. როცა დასკვნის სრული გაცნობა მოხდება, საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის მიმართ ნეგატიურად განეწყობა. ამის პარალელურად, შენელდება ის კრიტიკა, რომელიც დღეს საქართველოს ხელისუფლების მიმართ ისმის. კრიტიკა ისევ იქნება. სააკაშვილს შეიძლება პრეტენზიები წაუყენონ. საერთაშორისო იზოლაციამდე საქმე არ მივა, იმიტომ რომ, თუ რაიმე პრეტენზიები არის, ის სააკაშვილისა და ხელისუფლების მიმართ არსებობს. ქვეყანა არაფერ შუაშია. დასავლეთის დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ შეიძლება შეიცვალოს და უფრო მკაცრი გახდეს, ქვეყანას კი არაფერი ემუქრება. საქართველო ისევ ისარგებლებს იმ მხარდაჭერით, რომელიც აქამდე ჰქონდა. არც საერთაშორისო დახმარებების პროგრამების შეწყვეტაა მოსალოდნელი.

*— გამართლებულად მიგაჩნიათ თუ არა ოპოზიციის ქმედება, რომელიც ამ დასკვნით აპელირებს? ხელისუფლება თვლის, რომ დღეს სააკაშვილზე თავდასხმა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს...*

— ეს ცოტა დელიკატური საკითხია. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, მათ შორის, ხელისუფლების კრიტიკაშიც, მით უმეტეს, როცა საქმე შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება. დღეს განსაკუთრებით კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს ყოველი სიტყვა და ქმედება. ეს თუნდაც იმისთვის უნდა გაკეთდეს, რომ არსებული ბალანსი არ დაირღვეს. თუ ბალანსი დაირღვა, ამან შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები გამოიღოს, რაც ხელისუფლებისთვის კი არა, პირველ რიგში, ქვეყნისთვის იქნება ცუდი.

**თუ ბალანსი დაირღვა, ამან შეი ლება ალიან ცუდი შედეგები გამოიღოს, რაც ხელისუფლებისთვის კი არა, პირველ რიგში, ქვეყნისთვის იქნება ცუდი**

*— რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გადამეტებულ კრიტიკას?*

— დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ ოსებს გენოციდი მოუწყო. დავუშვათ, ყველამ ერთხმად ქვეყნის შიგნით და მის გარეთ აღიარა, რომ ქართულმა მხარემ მოაწყო ოსი ხალხის გენოციდი. ასევე ყველამ აღიარა, რომ საქართველომ ჩაიდინა სამხედრო დანაშაული და უხეშად დაარღვია ადამიანის უფლებები. ამ შემთხვევაში ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ. საქართველოს მიერ ოსებისთვის გენოციდის მოწყობის აზრი მკვეთრად ჩამოყალიბდება. თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ, არ არის გამორიცხული, რომ ნიკარაგუასვ და ვენესუელას სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ და მათაც აღიარონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ ქვეყნების რიცხვს შეიძლება ისინიც კი შეუერთდნენ, ვინც დღეს საქართველოს მხარდამჭერებად ითვლებიან. ამიტომ ვამბობ, რომ ზომიერებაა საჭირო. ეს თემა არ უნდა იქნეს გამოყენებული ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. ხელისუფლების შეცდომებზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ეს თემა ხელისუფლებაში მოსვლისთვის იქნეს გამოყენებული. პროფესიონალი პოლიტიკოსები ასე არ მოიქცევიან, ან, თუ გამოიყენეს, ისე უნდა გააკეთონ, რომ ამით ქვეყანა არ დაზარალდეს, თორემ, როცა თავად მოვა ხელისუფლების სათავეში, მას დაუდგება ის პრობლემა, რაც შეიძლება მისი ამგვარი დამოკიდებულების გამო გაჩნდეს. ამიტომ კრიტიკაში ბალანსია დასაცავი, თუმცა შეცდომებსა და პრობლემებზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ.

# ვალერი კვარაცხელია აქტიურ პოლიტიკაში ბრუნდება

პოლიტიკური პარტიის „ნეიტრალური საქართველოს" ლიდერი ვალერი კვარაცხელია ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე საუბრობს და ამ სიტუციიდან გამოსავალს ნეიტრალიტეტის გამოცხადებაში ხედავს. ამასთან, ვალერი კვარაცხელიამ მედიას პარტიის მიზნები და გეგმები გააცნო.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, საქართველოში უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ვითარება შეიქმნა, ქვეყანა დაშლილია და დაქუცმაცებული.

მისი თქმით, პარტია „ნეიტრალური საქართველოს"- უმ-



თავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს სრული დემილიტარიზაციის, ტერიტორიული მთლიანობის, რეალური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური აღორძინების მიღწევა.

როგორც კვარაცხელიამ აღნიშნა, ერთადერთი პარტია, რომელიც შეძლებს საქართველოს დამანგრეველი პოლიტიკური კურსის რადიკალურად შეცვლას, ეს „ნეიტრალური საქართველოა".

პარტია „ნეიტრალური საქართველო" საქართველოში დაგეგმილ ყველა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

— პარტია „ნეიტრალური საქართველო" აქტიურად ჩაერთვება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მონაწილეობას მიიღებს ყველა დონის არჩევნებში, რომელიც ქვეყანაში გაიმართება. საქართველოს მოსახლეობას ვარწმუნებთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ყველა ჩვენი დანაპირები შესრულდება, — დასძინა კვარაცხელიამ.

**მედიანიუსი**

# ბიზნესი ხელისუფლებისგან დაუცველია

შორენა კოწოწაშვილი

**ტალიავინის კომისიის უმნიშვნელოვანესი დასკვნის შემდგომ პრეზიდენტი სააკაშვილი ეკონომიკურ რევოლუციაზე ალაპარაკდა და ომთან დაკავშირებული ბრალდებების გადასაფარად ქვეყნის მოსახლეობას „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" შესთავაზა.**



რატომ ალაპარაკდა პრეზიდენტი გლობალური ეკონომიკური აზროვნების აუცილებლობაზე, რატომ გამოდის მიხეილ სააკაშვილი მარეგულირებლების შექმნის აკრძალვის ინიციატივით და ვის მოაფიქრდა ახალი გადასახადების რეფერენდუმის გზით დაწესება და ამის კონსტიტუციაში დაფიქსირება — ეს კითხვები პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის შემდგომ მხოლოდ ეკონომისტებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს არ გასჩენიათ.

სააკაშვილის გამოსვლასა და წარმოდგენილ ინიციატივებს განსაკუთრებით კრიტიკულად ეკონომიკური ექსპერტები აფასებენ. ექსპერტი გია ხუხაშვილი ეკონომიკის ლიბერალიზაციას მიესალმება, თუმცა ამ ტიპის პაკეტის კონსტიტუციის დონეზე აყვანა უადგილოდ ეჩვენება.

დამოუკიდებელი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილმა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი" ტალიავინის კომისიის დასკვნის გადასაფარად წარმოადგინა. გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ გია ხუხაშვილთან:

***— ბატონო გია, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი „ეკონომიკური თავისუფლების აქტს", რეალურად რა იყო სააკაშვილის ინიციატივები?***

— საერთოდ, ნებისმიერ ინიციატივას მივესალმები, რომელიც ლიბერალიზაციისკენ არის მიმართული. ზოგადი განწყობა რომ გამოვხატო, ამას ვიტყოდი. რაც შეეხება იმას, რომ ამ ტიპის პაკეტი კონსტიტუციის დონეზე იქნეს აყვანილი, ჩემი აზრით, აბსოლუტურად უადგილოა. კონსტიტუციურად ერთადერთი საკითხი უნდა იყოს გარანტირებული. ეს არის საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება. ეს ჩვენს კონსტიტუციაში უკვე წერია, მაგრამ ხელისუფლება ამას არაფრად აგდებს და კონსტიტუციაც დიდი ხანია თავზე დაგვახიეს, ანუ ორი ტიპის პრობლემასთან გვაქვს საქმე; ერთი — რა ჩაიწერება კანონში, მეორე — სრულდება თუ არა ხელისუფლების მიერ მის მიერვე მიღებული კანონები. ჩვენ ამ პერიოდში, როდესაც კონსტიტუციით იყო ეს უფლება გამაგრებული, ვნახეთ ძალიან ბევრი შემთხვევა და დღესაც ვხედავთ, თუ როგორ ეხებიან კერძო საკუთრებას აბსოლუტურად უსამართლოდ. ამ საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტის კონსტიტუციის დონემდე აყვანა, ჩემი აზრით, აბსოლუტურად გაუმართლებელია. ეს მანევრის საშუალებას არ გიტოვებს, იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში რაღაც ხარვეზი რომ გამოჩნდეს ან რაღაცის შეცვლა რომ მოგინდეს, სერიოზული პრობლემები შეიქმნება, მით უმეტეს, ეს არ არის ისეთი ტიპის ნორმები, რომლებიც სისტემატურად რაღაცას წყვეტს. ჩვენ გვაქვს სულ სხვა ფუნდამენტური პრობლემები ქართულ ეკონომიკაში. ის, რომ ლიცენზიების რაოდენობა არ დაემატება, ის, რომ მარეგულირებელი კომისიების რაოდენობა არ გაიზრდება და ა.შ. ეს არის აბსოლუტურად ფასადური ნორმები. ასეთი ტიპის კანონმდებლობის მიღების ობიექტური საჭიროება დღეს არ იყო. ცუდი არ არის, რასაც აკეთებენ, მაგრამ ქართული ეკონომიკის მთავარი პრობლემა ეს არ გახლავთ.

***— რა არის ქვეყნის ეკონომიკის მთავარი პრობლემა?***

— მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ ეკონომიკაში გვაქვს მაღალი პოლიტიკური რისკები, რომ ხელისუფლების განუკითხაობისგან ბიზნესი დაუცველია, იმიტომ, რომ არ არსებობს შესაბამისი ინსტანცია სასამართლოს სახით, სადაც ბიზნესმენს შეუძლია თავის დაცვა. გარდა ამისა, არ არსებობს ჯანსაღი კონკურენცია. ეს ყველაფერი ფუნდამენტია, ამ კანონმდებლობის პაკეტში კი ამ მხრივ არაფერია ნათქვამი, ანუ არანაირ გარანტიებზე არ არის ლაპარაკი. გვესაუბრებიან მარეგულირებლებზე, ლიცენზიებზე და ა.შ.

***— იყო თუ არა რაიმე სიახლე პრეზიდენტის მხრიდან გაჟღერებული ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით? ფაქტია, მოსვლის დღიდან ეს ხელისუფლება თავს იწონებს ბიზნესის სახელმწიფო წნეხისგან გათავისუფლებაზე, გადასახადების შემცირებაზე და ა.შ.***

— თავისთავად, სიახლე, რა თქმა უნდა, არაფერი არ ყოფილა. მე ვიცი, რა სტკივა ამ ქვეყნის ეკონომიკას. როცა ზუსტად ვიცი დიაგნოზი, რომ ეკონომიკას გული აწუხებს ძალიან სერიოზულად და იმის მაგივრად, რომ გულზე უმკურნალონ, საუბრობენ ცხვირის ოპერაციაზე, ეს ძალიან არასერიოზულად გამოიყურება.

***— პრეზიდენტის თქმით, საქართველომ გლობალური ეკონომიკური აზროვნება უნდა შეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონმიკა ვერ განვითარდება.***

— საერთოდ, ჩვენ გვახასიათებს გლობალური მიზნების დასახვა. სამწუხაროდ, ძალიან ცუდი გამოცდილება გვაქვს, რითი მთავრდება ეს ყველაფერი. ჩვენ თავი წარმოგვიდგენია სამყაროს ჭიპად. საბოლოო ჯამში, რაც გვაქვს, იმის დიდი ნაწილიც დავკარგეთ, უზარმაზარი პოლიტიკური რისკები შემოვიტანეთ ჩვენ მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომების ფონზე. მე მესმის ხელისუფლების, რომელმაც ამ ბოლო პერიოდში უმძიმესი მარცხების მთელი სერია იწვნია. ისინი ცდილობენ, ასეთი რაღაცებით, ჭიქაში ქარიშხლის ატეხით გადაფარონ ტალიავინის დასკვნა, ომის წაგება თუ ა.შ. ეს არის მხოლოდ რაღაცის გადაფარვის მცდელობა და არანაირი კავშირი ეკონომიკის გაჯანსაღებასთან ამ ინიციატივას, პირდაპირ გეტყვით, არ აქვს.

***— რაში დასჭირდა პრეზიდენტს ახალი გადასახადების დაწესებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ინიციატივით გამოსვლა? გადასახადები და რეფერენდუმი?!***

## გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება დაუშვებელია

— ეს კიდევ ერთი წარმოუდგენელი რამეა. ძალიან ამერიკული სვლა იყო. ვერ წარმომიდგენია, საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდეს იმაზე, გადასახადი იქნეს დაწესებული თუ არა. რაზეც რეფერენდუმი გვაქვს ჩასატარებელი, იმაზე ვერ ვატარებთ. გადასახადები გაზარდო თუ არ გაზარდო, ამაზე რეფერენდუმის ჩატარება წარმოუდგენელია. ეს არის მკვდრადშობილი ნორმა, რომელიც არც ერთხელ არ იქნება გამოყენებული და, თუ იქნება — მხოლოდ პიარის თვალსაზრისით. ჩვენ გვაქვს ძალიან მძიმე თემები, რომლებიც სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის საკითხს შეიძლება უკავშირდებოდეს. ამაზე დღეს არავინ საუბრობს. სამაგიეროდ, გვეუბნებიან, გადასახადი 2%-ით გავზარდოთ თუ არა, ამაზე რეფერენდუმი უნდა ჩავატაროო. როგორ მიგაჩნიათ, ეს სწორია?

***— ხელისუფლებამ ეს ეკონომიკური პაკეტი რევოლუციურ გამოწვევად შეაფასა. პარლამენტში ითქვა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ისტორიაში შევა, როგორც ახალი ეკონომიკური აქტი საქართველოს ისტორიაში. ეთანხმებით ამ პოზიციას?***

— ეს არის არაფრისმთქმელი ფრაზები, წყალი, რაც იმდენჯერ გვაქვს მოსმენილი, მგონი, საქართველოში აღარ დარჩა ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერში შინაარსს დაინახავდა.

***— უშედეგო და არაფრისმომცველია პრეზიდენტის განცხადებები ლიბერალურ ეკონომიკაზე, სახელმწიფოს წნეხის შემცირებაზე ბიზნესზე და ა.შ.***

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამ კეთილ სურვილებს სჭირდება ფუნდამენტური ცვლილებები. ფუნდამენტური ცვლილებები გახლავთ კონკურენტული გარემოს შექმნა, პოლიტიკური რისკების გაყვანა ეკონომიკიდან და, ელემენტარულად, ნორმალური სასამართლო, სადაც ბიზნესმენს შეეძლება, თავი დაიცვას ხელისუფლების განუკითხაობისაგან. ეს არაფერი არ არის. მთავარია ფუნდამენტი და არა ის, ლიცენზია 5 მექნება მიწერილი თუ 10. ისიც, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ამინდს არ ქმნის. ამინდს ქმნის ეს — მე რომ ვარ ქიბარ ხალვაში, იმის გამო, რომ ვიღაცასთან ვმეგობრობდი, არ მომივარდება და 5 000 ოჯახს ქუჩაში არ დამიტოვებს.

***— ბატონო გია, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბიზნესში ხელისუფლება ისედაც არ ერეოდა და პრეზიდენტის ამ ინიციატივების შემდეგ ბიზნესის ხელშეუხებლობა კონსტიტუციით იქნება გარანტირებული. ბაქრაძის თქმით, შევარდნაძის დროს ბიზნესში მონოპოლიები იყო...***

— ბოდიში, მაგრამ ახლა რომ მონოპოლიებია, ასეთი ადრე არ ყოფილა. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ დღეს მთელი სფეროებია მონოპოლიზებული. მაშინაც არ იყო კარგი სიტუაცია, მაგრამ დღეს მონოპოლიების მხრივ ჩვენ გვაქვს ბევრად უარესი სიტუაცია, ვიდრე შევარდნაძის დროს გვქონდა.

***— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ინიციატივები ტალიავინის დასკვნის შემდგომ აგონიაში მყოფი პრეზიდენტის განცხადებებია?***

— მე არ მინდა, ასეთი კატეგორიული ვიყო და ასეთი ფრაზებით ვისაუბრო. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი, გამომდინარე იქიდან, რომ არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკური დიაპაზონი აღარ არსებობს, ახლა მოიძებნა ახალი თემა, რომლითაც უნდათ ყველაფრის გადაფარვა, ანუ უნდათ ახალი ვირტუალური რევოლუციის გამოცხადება. საქმე ძალიან მარტივად არის. საქმე განაცხადში, პიარშია და არა რეალურ ქმედებაში.

***— ეკონომიკის გადაფარვაც არის ამ პიარის უკან?***

— რა თქმა უნდა, ყველაფრის გადაფარვაზეა საუბარი. ყველაფერი უარყოფითი უნდათ გადაფარონ ვირტუალური წარმატებით, რომელსაც ძალიან კარგად აიტაცებს ხოლმე ქართული ელექტრონული პროპაგანდა. ვირტუალური კეთილდღეობა, რომელიც ტელეეკრანიდან ჩანს, სამწუხაროდ, საკვებად უვარგისია.

# უკრაინა საქართველოს იარაღს ისევ აწვდის

თეა მარხვაძე



შარშან საქართველოს გამო უკრაინა მაგარ შარში გაეხვია. თბილისი და კიევი წლების განმავლობაში სიამაყით აცხადებდნენ, რომ უკრაინა საქართველოს შეიარაღებას აწვდიდა. ამის გამო მოსკოვში არაერთი მწვავე განცხადება გაკეთდა. რუსები უკრაინას საქართველოს მილიტარიზაციის გამო საყვედურობდნენ.

აგვისტოს ომამდე კიევში ამ საყვედურებს ყურადღებას არ აქცევდნენ, შარშანდელი ომის შემდეგ კი უკრაინაშიც სერიოზულად დაფიქრდნენ. იულია ტიმოშენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის მომხრე დეპუტატებმა საქართველოს ქმედებები დაუგმეს, მერე კი სპეციალური კომისია შექმნეს, რომელსაც უკრაინის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის ფაქტები უნდა შეესწავლა.

ამ კომისიის მუშაობის დაწყებამდეც ყველამ კარგად იცოდა, რომ საქართველომ უკრაინისგან დიდი რაოდენობით შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა შეიძინა. სამხედრო აღჭურვილობასთან დაკავშირებით სკანდალები ადრეც ატყდა, ოღონდ სულ სხვა მიზეზით.

უკრაინიდან ჩამოყვანილი საბრძოლო ტექნიკის დიდი ნაწილი უვარგისი გამოდგა. ამის გამო თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. იმ სკანდალის გამო უკრაინაში არ უნერვიულიათ. ნერვიულობა მათ აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყეს.

ოფიციალურმა კიევმა რამდენჯერმე გააკეთა განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იარაღს აღარ აწვდიდნენ. ამას ამტკიცებდა საქართველოს ხელისუფლებაც.

უკრაინული იარაღის ამბავი ერთი პერიოდი დავიწყებასაც მიეცა, თუმცა გუშინ გამართული ბრიფინგის შემდეგ შესაძლოა ეს თემა ისევ აქტუალური გახდეს. უკრაინის რადაში გუშინ საგანგებო ბრიფინგი გაიმართა, სადაც განაცხადეს, რომ უკრაინა საქართველოს შეიარაღებას ისევ აგრძელებს.

საგანგებო ბრიფინგი „რეგიონების პარტიის" წარმომადგენლმა ვალერი კონოვალიუკმა გამართა. ეს უკანასკნელი რადას სპეციალურ კომისიას ხელმძღვანელობდა.

საგანგებო კომისია უკრაინის პარლამენტში შარშან აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. კომისიას უკრაინის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიწოდების ფაქტები უნდა გამოეძიებინა.

რადას დროებითი საგამოძიებო კომისია გასული წლის ბოლო თვეებში აქტიურად მუშაობდა. კომისიამ უკრაინის საკანონმდებლო ორგანოს გამოძიების შედეგები შარშან დეკემბერში გააცნო.

დასკვნას რადაში დიდი სკანდალი მოჰყვა. კონოვალიუკის მტკიცებით, დროებითი კომისიის მიერ მოპოვებული მასალები სენსაციური იყო. რადას წინაშე გამოსვლისას მან თქვა, რომ უკრაინა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და თავისი თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ აიარაღებდა.

რადას დეპუტატების ნაწილს ეს დასკვნა არ მოეწონა. დროებით საგამოძიებო კომისიას უფლებამოსილება შეუწყდა, კომისიის მიერ მოპოვებული მასალები კი უკრაინის გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. ეს მასალები შესასწავლად უკრაინის უშიშროების სამსახურსაც გაუგზავნეს.

არც გენერალურმა პროკურატურამ და არც უშიშროების სამინისტრომ საგამოძიებო კომისიის მასალები მტკიცებულებად არ მიიღეს. კონოვალიუკის ძალისხმევის მიუხედავად, არ დადგინდა, რომ უკრაინა თავის საზიანოდ აიარაღებდა საქართველოს.

ვალერი კონოვალიუკს დღეისათვის საგამოძიებო კომისია აღარ აქვს, მაგრამ ის უკრაინიდან საქართველოში იარაღის ექსპორტით მაინც ინტერესდება. დაინტერესებულმა დეპუტატმა გაარკვია, რომ უკრაინა საქართველოს შეიარაღებას მიმდინარე წელსაც აგრძელებს.

— იუშენკო და სააკაშვილი ისევ იარაღის ბიზნესით არიან დაკავებული. უკრაინის არმიის შეიარაღებაში არსებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები პირდაპირ მორიგეობიდან იხსნება და ქართულ არმიას ფაქტიურად უფასოდ გადაეცემა, — განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე რადას დეპუტატმა.

მისივე განცხადებით, უკრაინის ხელისუფლება აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ საქართველოს ისევ აწვდიდა შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკას.

— მარტო მიმდინარე თვეში საქართველო კონცერნ „უკრსპეცპროექტისგან" 12 უახლეს ტ-84 („ოპლოტი") ტიპის ტანკს მიიღებს, რომლებიც მალიშევის სახელობის ხარკოვის ქარხანაშია აწყობილი. ამ ტანკების შესაძენად ქართულმა მხარემ უკვე გადმორიცხა 45 მილიონი გრივენი. დოლარებში ეს თანხა 5,6 მილიონს შეადგენს, — აცხადებს კონოვალიუკი.

მისივე ინფორმაციით, უკრაინა საქართველოს მიმდინარე წელს მიაწვდის 10 ტ-72 ტიპის ტანკს, 3 ბტრ-80-ს, 20 გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „იგლა-1"-ს, 40 გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „სტრელას", ნაღმმტყორცნ რპგ-7-ის ნაღმებსა და 125-მილიმეტრიან გადასატან მართვად ტანკსაწინააღმდეგო დანადგარ „კომბატს".

კონოვალიუკის მტკიცებით, 2009 წელს უკრაინამ საქართველოს უკვე მიაწოდა ტანკები და ბმ-21 „გრადის" ტიპის დანადგარები.

დეპუტატის თქმით, უკრაინა საქართველოს შეიარაღებას ხელოვნურად შემცირებული ტარიფებით აწვდის და ამით უკრაინის ბიუჯეტს აზარალებს.

საგანგებო ბრიფინგზე დეპუტატმა უკრაინული არმიაც დაიტირა. მისი თქმით, მაშინ, როცა იუშენკო საქართველოს იარაღს დაბალ ფასებში აწვდის, უკრაინული არმია სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. დეპუტატის მტკიცებით, ხელისუფლება არაფერს აკეთებს არმიის გაძლიერებისთვის. მან ყურადღება უკრაინული არმიიდან 2000 ოფიცრის გათავისუფლებაზეც გაამახვილა.

კონოვალიუკმა ბრიფინგზე მისი მუშაობის წყალში ჩაყრის გამოც დაიჩივლა. მან სინანული გამოთქვა, რომ უკრაინელმა სამართალდამცავებმა საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებს სათანადო ყურადღება არ მიაქციეს.

უკრაინის რადაში გუშინ გამართულ ბრიფინგს მოსკოვში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „რეგიონების პარტია" ამ საქმის დატოვებას არ აპირებს და იუშენკოს წინააღმდეგ ახალი კამპანიის აგორებას გეგმას. ამ საქმეში მათ აუცილებლად დაეხმარებიან რუსებიც.

## ცხინვალში კოკოითის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა

ცხინვალის რეგიონის რამდენიმე მცხოვრებმა ცხინვალის ცენტრში სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის, ედუარდ კოკოითის მხარდასადაჭერი აქცია გამართა. აქციის მონაწილეებმა კოკოითის ოპონენტები გააკრიტიკეს და ე.წ სამხრეთ ოსეთის მტრები უწოდეს.

ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე-ფაქტო კომიტეტის ცნობით, როგორც აქციაზე დემონსტრანტები აცხადებდნენ, კოკოითის ე.წ. ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს, რომ „სამხრეთ ოსეთი დასაჯიჯგნად საქართველოს მიუგდოს".

მათივე თქმით, სამხრეთ ოსეთ პრეზიდენტის წინააღმდეგ ის ადამიანები გამოდიან, რომლებიც რესპუბლიკისთვის მძიმე პერიოდში ოსი ხალხის სისხლს სვამდნენ.

— ჩვენ, უბრალო ხალხმა, მხარი უნდა დავუჭიროთ ჩვენს ხელმძღვანელობას, სხვაგვარად დავიღუპებით ოს ხალხს შვიდ საუკუნეზე მეტ ხანს თავისი სახელმწიფო არ ჰქონდა და მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით მივიღეთ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თავისუფლება. თუ ამ თავისუფლებას, ჩვენს პრეზიდენტს და ხელისუფლებას არ გავუფრთხილდებით, ისევ აღმოვჩნდებით ქართველი ფაშისტების ხელში, — განაცხადა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა ევგენი დიაკონოვამა.

**მედიანიუსი**

## უცხოეთში ქართველთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პირველი რაუნდი დასრულდა

უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების პირველი რაუნდი დასრულდა.

ამის შესახებ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის სხდომაზე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველმა, გიორგი მერაბიშვილმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ქართულმა მხარემ ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესში ერთ-ერთ წინადადებად საქართველოს მოქალაქეების ეტაპობრივი ლეგალიზაციის საკითხი დააყენა.

— ეს ინიციატივა შეიძლება, ვინმეს ცინიკურად მოეჩვენოს, თუმცა საქართველოს წინადადება იტალიამ გაითვალისწინა, — განაცხადა მერაბიშვილმა და დასძინა, რომ იტალიის მთავრობამ ქართველებს უფლება მისცა, ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრებისთვის რეგისტრაცია გაიარონ.

**ინტერპრესნიუსი**

## თელავის ხელისუფლებას ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ

„ახალი მემარჯვენეების" თელავის რაიონული ორგანიზაცია ადგილობრივ ხელისუფლებას ფულის გათეთრებაში ადანაშაულებს.

როგორც რადიო „ჰერეთს" ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ არჩილ ჯორჯაძემ განუცხადა, „თელავში გზების შეკეთება ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი კორუფციული წყაროა".

— ხელისუფლება თავის სატელიტ კომპანიებთან ერთად ფულის გათეთრებას ახდენს. თელავის მოსახლეობა არ სარგებლობს მარტო ცენტრალური მაგისტრალით. ხალხისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ე.წ მეორე ხარისხის ქუჩების შეკეთება, სადაც ძალიან მძიმე ვითარებაა, — აცხადებს ჯორჯაძე.

მისივე თქმით, გასულ წელს გამგებელმა ვასილ დავითაშვილმა და მისმა მოადგილემ პეტრე კიკნაძემ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მხოლოდ იმ ქუჩების გაწმენდასა და აღდგენას მოახმარეს, სადაც თავად ცხოვრობენ.

**პირველი**

## მოსკოვს თბილისთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად შუამავლები არ სჭირდება

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, მოსკოვს თბილისთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად შუამავლები არ სჭირდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ანდრეი ნესტერენკოს განცხადებით, რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზაციის კუთხით უკრაინას შუამავლობას არ თხოვს.

— ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას რომ მესამე ქვეყანას შაუმავლის როლი ვთხოვოთ, — განაცხადა ნესტერენკომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შუამავლის როლის შესრულებასთან დაკავშირებით გამოთქმული მზადყოფნის კომენტირებისას.

მისივე თქმით, გასული წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გადაწყვეტილება თავად საქართველომ მიიღო.

— ეს ჩვენი არჩევანი არ იყო. ჩვენ ქართველი კოლეგების მისამართით მოვლენების ასეთი შესაძლო განვითარების შესახებ მინიშნებაც კი არ გაგვიკეთებია, — განაცხადა ნესტერენკომ, რომლის თქმით, თუ შუამავლის აუცილებლობა წარმოიქმნება, ამ ფუნქციას შვეიცარია შეასრულებს, რომელიც საქართველოში რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს.

**პირველი**

# ვინ წაუკიდა ცეცხლი ქართული კულტურის ცენტრს საინგილოში

**ამ დღეებში საინგილოში კახის ქართული კულტურის ცენტრის შენობა დაიწვა. დილის 4 საათზე საეჭვოდ გაჩენილ ხან არს ვერაფერი მოუხერხეს და ცენტრის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღ რული, თუმცა ხან არი ქართველ მოსახლეობაში დიდ ეჭვებს იწვევს.**

**გერა მამულაშვილი**

ცნობილია, რომ კახის ქართული კულტურის ცენტრი 2001 წლის მაისის დასაწყისში დაფუძნდა. ამას საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის მინისტრებმა დაუდეს სათავე. მაშინ საინგილოში მინისტრი სესილი გოგიბერიძე და მისი აზერბაიჯანელი კოლეგა ფოლად ბულბულოღლი ჩამოვიდნენ. კულტურის ცენტრი მაშინ მეტად საზეიმო ვითარებაში გაიხსნა და ითქვა, რომ ამ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ყოველთვის ქართული ჰანგები უნდა ისმოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ პერიოდიდან, ანუ 2001 წლიდან მოყოლებული, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ კახის ქართული კულტურის ცენტრის თანამშრომლების არც ერთი საშტატო ერთეული არ დაამტკიცა. ფორმალურად იქ იყო დირექტორი, ცენტრის სხვა თანამშრომლები, თუმცა ხელფასს ამ ცენტრის თანამშრომლებს არავინ უხდიდა.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის შეთანხმება იყო დადებული, რომ კულტურის ცენტრები ორივე ქვეყანაში უნდა დაარსებულიყო და ამოქმედუბულიყო. საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანში არც საშტატო ერთეულები დაუმტკიცეს ქართველებს და ცენტრს არც არანაირი ბიუჯეტი არ ჰქონდა, რომ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩაეტარებინა. ერთი სიტყვით, მუშაობა შიშველ ენთუზიამზე მიმდინარეობდა.

ოფიციალური დაფინანსების გარეშე კი საინგილოს ქართული კულტურული ცენტრი ბევრს ვერაფერს შეძლებდა. თუმცა ადგილობრივები პატრიოტულ მცდელობას არ აკლებდნენ და კულტურის ცენტრის დირექტორი გივი ნადირაშვილი და თანამშრომელი მალხაზ ნუროშვილი ინგილო მოსწავლეებს ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლიდნენ. ცენტრში ქართული ცეკვის ფორმები და ქართული ჩოხებიც ჰქონდათ, თუმცა ცენტრს არანაირი დაფინანსება არ ჰქონია და მათ მხოლოდ მშობლიური კულტურის სიყვარული ამოძრავებდათ.

ამ ფონზე ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობასა და ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებობდა დაპირისპირება ცენტრის შენობასთან დაკავშირებით. საბჭოეთის დაშლის შემდეგ, როცა პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, კულტურის ცენტრის ეს შენობა ადგილობრივ ქართველებს — რამდენიმე ადამიანს გადაეცა. ეს წლების განმავლობაში მათი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მოხდა და ამ რამდენიმე ადამიანმა ეს შენობა კი არ დაანგრია და გაყიდა, არამედ იგი გადასცეს ადგილობრივ პატრიოტთა ჯგუფს, რომლებიც საინგილოში ქართული კულტურის შენარჩუნებასა და აღორძინებას ხელს შეუწყობდნენ.

რამდენიმე წლის წინ კახის რაიონის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ცენტრის დირექტორი, მისი თანამშრომლები და მთლიანად მოსახლეობა წინააღმდეგი იყო, ამ ცენტის ორი ოთახი კახინგილოს საკრებულოს გადასცა. შედეგად ბოლო პერიოდამდე, შენობის დაწვამდე, აღნიშნული საკრებულო იქვე ფუნქციონირებდა.

4 ოქტომბერს, გამთენიისას, დაახლოებით 4 საათზე, ცნობილი გახდა, რომ კახის ქართული კულტურის ცენტრს ხანძარი გაუჩნდა. ასევე ცნობილია, რომ იქვე გვერდით კახინგილოს ქართული საშუალო სკოლა მდებარეობს და სწორედ მისმა დარაჯმა აცნობა ამ ხანძრის შესახებ კულტურის ცენტრის დირექტორს და ერთ-ერთ თანამშრომელს, მალხაზ ნუროშვილს. ამის შესახებ ახლომახლო მცხოვრებმა ქართველებმაც ერთმანეთს მაშინვე შეატყობინეს.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე ორი სახანძრო მანქანა მივიდა, კულტურის ცენტრის ხანძრის ჩაქრობა შესაძლებელი იყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ვერ მოხერხდა თუ არ მოხერხდა, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რადგან იქვე მყოფი პირები ყვებიან, რომ მეხანძრეები აქრობდნენ არა ცეცხლის კერებს, არამედ უკვე დამწვარ კედლებზე წყალს ასხამდნენ და ა.შ.

რაც შეეხება ხანძრის დაწყებას, ის სწორედ იმ ორ ოთახში გაჩნდა, სადაც ბოლო პერიოდში საკრებულოს ოთახები იყო განთავსებული. შედეგად დაიწვა კახინგილოს საკრებულოში არსებული მოსახლეობის მიწის აქტები, გადასახადების ქვითრები და ა.შ. ერთი სიტყვით, სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტაცია. ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ ამან შესაძლოა ადგილობრივ მოსახლეობას კიდევ შეუქმნას პრობლემები თავისივე მიწის საკუთრების დამტკიცების კუთხით.

რაც შეეხება ხანძრის გამომწვევ მიზეზებს, ოფიციალური ვერსია იმაში მდგომარეობს, რომ ხანძარი მოკლე ჩართვამ გამოიწვია, თუმცა კულტურის ცენტრის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ე.წ. რუბილნიკი (ჩამრთველი) გამორთული ჰქონდათ, ანუ ხანძარი ამ მიზეზით არ შეიძლებოდა მომხდარიყო. მეორე ვერსიით, ადგილობრივ მოსახლეობაში არსებობს აზრი, რომ საკრებულოს ხელმძღვანელობას (რომელსაც იქვე ორი ოთახი ეკუთვნოდა) არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია წესრიგში და თითქოსდა მათ გაუჩინეს შენობას ხანძარი, თითქოსდა მიწები ჰქონდათ გაყიდული, სხვადასხვა მაქინაციაში იყვნენ გახვეული და ა.შ. როგორც ამბობენ, მათ კვალი მოსპეს და ხანძარიც სწორედ ამას ემსახურებოდა.

შემდეგი ვერსია ის არის, რომ თვითონ კახის ხელმძღვანელობამ, ადგილობრივმა სახელისუფლებო ადმინისტრაციამ გააკეთა ეს. კიდევ ერთი ვერსიაა, რომ ხანძრით შეიძლება მესამე ძალა იყოს დაინტერესებული, ვინაიდან არსებობს მცდელობები, რომ ხელოვნურად დაიძაბოს აზერბაიჯანისა და საქართველოს დღევანდელი კეთილმეზობლური ურთიერთობა.

რაც შეეხება კულტურის ცენტრის აღდგენის შესაძლებობებს, მანამდე კახის პოლიციის განყოფილებამ ხანძრის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და ჯერჯერობით შენობის აღდგენაზე საუბარიც კი ზედმეტია, თუმცა აქ ნიშანდობლივია ერთი ფაქტი, რომ კულტურის ცენტრის დაწვიდან მოკლე ხანში, დაახლოებით ორ-სამ საათში, როდესაც ხანძარი ჩაქრა, იქ უკვე პოლიციის უფროსის მოადგილე მივიდა და ქართულენოვანი აბრის ჩამოხსნა მოინდომა, სწორედ იმ აბრის, რომელზეც ეწერა, რომ იქ ქართული კულტურის ცენტრი ფუნქციონირებდა.

როდესაც მას წინააღმდეგობა გაუწიეს, ის წავიდა და შემთხვევის ადგილზე რაიონის კულტურის სამსახურის უფროსი მოიყვანა. მან უკვე მთლიანად ჩამოხსნა ეს აბრა და წაიღო. მას ადგილობრივმა ქართველებმა ჰკითხეს, თუ რატომ ჩამოხსნა, თავის ადგილზე ყოფილიყო, რას გიშლიდათო, მან კი უპასუხა — ჩვენ არ გვინდა, სხვებმა გაიგონ, რომ აქ ქართული კულტურის ცენტრი არსებობდა და დაიწვაო.

თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ამ შენობის დასაკუთრება სწორედ კახის რაიონის გამგეობას სურდა. ისინი იყვნენ დაინტერესებულნი ამ შენობის ხელში ჩაგდებით, რათა იგი გაენადგურებინათ და შემდეგ იქ საცხოვრებელი კორპუსი აეშენებინათ. თუ ეს მოხდება, ანუ დაწვის შემდეგ აღარ აღდგება იქ ქართული კულტურის ცენტრი და ადგილზე უკვე საცხოვრებელი ნაგებობა აშენდება, მაშინ ეს უკვე ადგილობრივი მოსახლეობის ეჭვი კი არ იქნება (რომ ხანძარი გამგეობას აწყოდა), არამედ — ამ ეჭვის ღია დადასტურება.

ქართული მხარე ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების შედეგებს ელოდება, თუმცა პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაურმა ამის შესახებ კოლეგები უკვე საქმის კურსში ჩააყენა. მან პარლამენტის აზერბაიჯანთან მეგობრობის ჯგუფს საკითხით დაინტერესება სთხოვა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა კახის ქართული კულტურის ცენტრის შენობა თითქმის მთლიანად დამწვარია. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების დაინტერესება საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუწყობს.

ბოლო ხანებში თბილისსა და ბაქოს შორის ამ სფეროშიც კარგად ვითარდება კეთილმეზობლური ურთიერთობები; საინგილოს რიგრიგობით ესტუმრნენ როგორც პარლამენტის საგარეო კომიტეტის, ისე დიასპორების სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები. მეგობრული შეხვედრა შედგა კახის ქართველების საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალზე, რომელშიც აზერბაიჯანის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

## სახალხო დამცველი პატიმართა პირობების გაუმჯობესებას ითხოვს

სახალხო დამცველი რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა პირობების გაუმჯობესებას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს მიმართა რეკომენდაციით, უზრუნველყოს რუსთავის №2 დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება და საკნების რემონტი.

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს სახალხო დამცველი რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა. დაწესებულება 2744 პატიმარზეა გათვლილი, თუმცა მონიტორინგისას მასში 3315 მსჯავრდებული იყო განთავსებული. შესაბამისად, დაწესებულება გადატვირთულია. დათვალიერებისას გაირკვა, რომ დაწესებულების ხუთი საცხოვრებელი კორპუსიდან ოთხში საკნების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და რემონტს საჭიროებს.

„პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2 კვ. მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ევროპული სტანდარტით კი საცხოვრებელი ფართობის ნორმა 4 კვ. მეტრია.

— მიუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთ მსჯავრდებულზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართი იმდენად მცირეა, რომ არ იძლევა საშუალებას, ყოველ მსჯავრდებულს საკუთარი საწოლი ჰქონდეს, რაც მსჯავრდებულთა უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს, — აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

**ინტერპრესნიუსი**


X-XIII საუკუნის ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



აქ მოღვაწე ბერებმა საქართველოს შემოუნახეს კვართი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა, წმიდა ნაწილები, წმ. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვა სიწმიდეები.

გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ტაძრის რესტავრაცია.

დარეკეთ ჯეოსელიდან, ბილაინიდან და მაგთიდან ნომერზე 700 607 და შეეწიეთ ამ წმიდა საქმეს.

ზარის ღირებულება 1 ლარი.

ინფორმაციისათვის დარეკეთ 895 955 129

ს.ს. „სახალხო ბანკი"-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101465. მიმღები ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი.

ანგ.№ 36010892


## ახმეტის საკაბელო ტელევიზია „მაესტროს" ჩართვას არ აპირებს

ახმეტის საკაბელო ტელევიზია ტელეკომპანია „მაესტროს" ჩართვას არ აპირებს. „არ გვინდა და არ ჩავრთავთ", - განაცხადეს ახმეტის საკაბელო ტელევიზიის ადმინისტრაციაში, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან. შეგახსენებთ, რომ ახმეტის საკაბელო ტელევიზიამ „მაესტროს" გადაცემების ტრანსლირება ხუთი თვეა რაც შეწყვიტა. „მაესტროს" ჩვენების გათიშვის მიზეზად მაშინ საკაბელო ტელევიზიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ეკა გავარდაშვილი უამინდობას და ტექნიკურ დაზიანებას ასახელებდა. ტელეკომპანია „მაესტროს" დირექტორი მამუკა ღლონტი ირწმუნება, რომ საკაბელო ტელევიზიამ „მაესტროს" ჩვენება ხელისუფლების ზეწოლის შედეგად შეწყვიტა.

**მედიანიუსი**

## „ნატოს დღეების" დასკვნითი ეტაპი კახეთში გაიმართება

10 ოქტომბერს „ნატოს დღეები საქართველოში" დასკვნითი ეტაპი კახეთში გაიმართება, — აცნობეს „მედიანიუსს" სააგენტო „ნიუს სპექტრიდან".

ამასთან დაკავშირებით მოეწყობა რთველი გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში, ექსკურსია სიღნაღში და ვიზიტი ძმები შალიკაშვილების მუზეუმში, სადაც გაიმართება ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებისა და უფროსკლასელების არაფორმალური შეხვედრა. ამ ღონისძიებაში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი შოთა უტიაშვილი განმარტავს, შეხვედრა ინფორმაციული ხასიათის იქნება.

**მედიანიუსი**

# ჯანსუღ კახიძის ფესტივალი მესამედ დაიწყო

ეკა ირემაშვილი



ცნობილი მაესტროს ჯანსუღ კახიძის სახელობის მესამე საერთაშორისო ფესტივალი გორში გაიხსნა და ორ დღეს გაგრძელდა. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გამართული ფესტივალი წელს საქართველოს ხუთ ქალაქს მოიცავს.

— გორში მამას სახელობის მესამე ფესტივალი ჩვენ შეგნებულად გავხსენით. ყველას კარგად გვახსოვს, რა დღეში იყო გორი გასულ წელს. ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „რუსთავის" კონცერტის შემდეგ გორში თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართა, რომელშიც ცნობილი მუსიკოსები ლიზა ბათიაშვილი და მისი მეუღლე ფრანსუა ლელო მონაწილეობდნენ, — განაცხადა მაესტრო ვახტანგ კახიძემ.

გორში ჩასულმა ლიზა ბათიაშვილმა და საზღვარგარეთ მოღვაწე მეორე ქართველმა ხელოვანმა ნინო სურგულაძემ საქველმოქმედო ფონდ „ხელოვანები თანადგომისთვის" ფარგლებში ხელოვანთა სკოლა გახსნეს. როგორც ცნობილი ხდება, ეს საქველმოქმედო ფონდი აპირებს მთელი საქართველოს მასშტაბით 18 ასეთი სკოლა გახსნას და მომავალი თაობის კულტურულ განვითარებას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი.

მაესტროს ქალიშვილი **თეონა კახიძე:**

***— კიდევ რომელ ქალაქებს ეწვევით ამ ფესტივალის ფარგლებში?***

— წელს ამ ფესტივალში ხუთი ქალაქი ჩავრთეთ. გორის შემდეგ ჩვენი ფესტივალი უკვე ბათუმს ეწვევა, სადაც სამი დღის განმავლობაში გავმართავთ კულტურულ ღონისძიებებს. ბათუმში თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით მსმენელს საუკეთესო კლასიკურ ნაწარმოებებს შეუსრულებს. თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ბათუმში ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „რუსთავი" მიიღებს მონაწილეობას, ასევე — ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრი.

***— მორიგი ქალაქი რომელი იქნება?***

— ბათუმის შემდეგ ვეწვევით ზუგდიდს, სადაც კვლავ თბილისის სიმფონიური ორკესტრი და ანსამბლი „რუსთავი" წარდგება მაყურებლის წინაშე, ხოლო ფესტივალს შალვა დადიანის ზუგდიდის თეატრის სპექტაკლი დახურავს. ზუგდიდის შემდეგ ჯანო კახიძის სახელობის ფესტივალი უკვე ქუთაისში გადაინაცვლებს, სადაც თბილისის სიმფონიურ ორკესტრსა და ანსამბლ „რუსთავს" უკვე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრიც შეუერთდება. ფესტივალის დასკვნითი ნაწილი კი ახალციხეში გაიმართება. ახალციხეში ანსამბლ „რუსთავსა" და თბილისის სიმფონიურ ორკესტრს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი შემოუერთდება, რომელიც ახალციხელი მაყურებლისთვის ლევან წულაძის სპექტაკლ „პიგმალიონს" ითამაშებს.

***— თქვენი ფესტივალის ტრადიცია არც წელს დაირღვევა?***

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენი ფესტივალის ტრადიცია იმაში მდგომარეობს, რომ ფესტივალიდან შემოსულ მთლიან თანხას იმ თეატრებს ვუტოვებთ, სადაც ღონისძიებებს ვმართავთ, რათა მათ შეძლონ იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც მათ თეატრებშია. წელს ჩვენი ფესტივალის შემოსავალი გორის, ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისისა და ახალციხის თეატრებს მთლიანად გადაეცემათ.

***— როდის დასრულდება ფესტივალი?***

— ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი 13 ოქტომბერს დასრულდება.

# სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ახალი პროექტი დაიწყო

ეკა ირემაშვილი

დედაქალაქის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ახალი პროექტი განახორციელოს, რომელიც მთლიანად მუსიკას მიეძღვნება.

„საუბრები მუსიკაზე" — ასე ეწოდება პროექტს, რომელიც თბილისის საკრებულოს შენობაში ხორციელდება. შემეცნებით პროგრამაში 30 მიუსაფარი ბავშვი მონაწილეობს. მოზარდები ბავშვთა სახლებიდან „მომავლის სახლი", „ლამპიონი" და „სათნოება" არიან შერჩეულები. აღნიშნული ღონისძიებისთვის ბიუჯეტიდან 5000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც 1500 ლარი ბავშვების საჩუქრებისთვისაა გათვალისწინებული.

— ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა და მასში მონაწილეობის მისაღებად ბავშვთა სახლებიდან უკვე შეირჩა მუსიკის ისტორიით დაინტერესებული და მუსიკალური ნიჭის მქონე ბავშვები. მათ კვალიფიცირებული პედაგოგი საინტერესო გაკვეთილებს კვირაში ერთხელ ჩაუტარებს, რომელზე დასწრებასაც საჯარო სკოლის მოსწავლეები და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა შვილებიც შეძლებენ. გაკვეთილებზე მოზარდები, როგორც მუსიკის ისტორიას, ისე ცნობილ კომპოზიტორთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას გაეცნობიან, მოისმენენ კლასიკურ მუსიკას. მათთვის საინტერესო გაკვეთილებს მუსიკათმცოდნე თამარ ქერეჭაშვილი ატარებს. პროექტის ფარგლებში პატარები საჩუქრად მათთვის სპეციალურად დამზადებულ აუდიოჩანაწერებს მიიღებენ, — განაცხადა დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა.

***— მიიღებს თუ არა თქვენი პროექტი სისტემატურ ხასიათს?***

— ეს გახლავთ ამ საინტერესო სამთვიანი მუსიკალური პროგრამის საცდელი პირველი ეტაპი და მასში მონაწილეობას სოციალურად დაუცველი 30 ბავშვი იღებს. ჩვენი მიზანია, პატარებს თავიდანვე ჩამოუყალიბდეთ კარგი გემოვნება. ისინი მოუსმენენ ბახს, მოცარტს, ფალიაშვილს. არ შეიძლება ასეთ ფონზე არ აღიქვან ჰარმონიის მშვენიერება და არ დაინტერესდნენ კლასიკური მუსიკით. თუკი პროექტისადმი ინტერესი მომავალშიც იქნება, იგი აუცილებლად გაგრძელდება.

ბავშვებს „საუბრებს მუსიკაზე" კვირაში ერთხელ ჩაუტარებენ. მუსიკათმცოდნე თამარ ქერეჭაშვილმა განაცხადა:

— სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ბავშვები მოკლებულნი არიან მუსიკასთან ინტენსიურ კონტაქტს. ვფიქრობ, ამ პროექტით დავაინტერესებთ და გავუღვივებთ მათ მუსიკის სიყვარულს. თუ გაკვეთილების შემდეგ ერთ ბავშვს მაინც გაუჩნდება სურვილი, კიდევ მოუსმინოს კლასიკას, მიზანს მიღწეულად ჩავთვლით.

მოზარდებს პირველი გაკვეთილი საკრებულოს შენობაში უკვე ჩაუტარდათ. მიუსაფარ ბავშვთა სახლებში მყოფმა ბავშვებმა გაკვეთილის დასასრულს ერთხმად აღნიშნეს:

— ძალიან მოგვეწონა დღევანდელი გაკვეთილი. მადლობას ვუხდით ამ პროექტის ორგანიზატორებს. თბილისის საკრებულო ყოველთვის მხარში გვიდგას და ცდილობს, ბავშვებს ხელი შეგვიწყოს, რომ უფრო განათლებულები ვიყოთ. ძალიან მოგვეწონა პირველი გაკვეთილი და იმედი გვაქვს, შემდეგი საუბრები კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

„საუბრები მუსიკაზე" თბილისის საკრებულოს შენობაში ყოველ კვირას 20 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება.

## ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე თანამდებობიდან გათავისუფლდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე პეტრე კანკავა თანამდებობიდან გათავისუფლდა.

როგორც „მედიანიუსს" სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, კანკავამ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაინიშნება აღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელად და სად გააგრძელებს საქმიანობას უკვე ყოფილი თავმჯდომარე.

დაუზუსტებელი ცნობით, შესაძლოა, პეტრე კანკავა მისმა მოადგილემ, ბექა ჯაყელმა შეცვალოს.

**მედიანიუსი**

## ეკონომიკის სამინისტროში გამართულ აუქციონზე 19 ლიცენზია გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გასაცემად აუქციონი გაიმართა.

სამინისტროს ინფორმაციით, აუქციონზე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სატყეო სამმართველოს სატყეო უბნებიდან 24 ლოტი იყო გატანილი. აქედან 19 ლიცენზია გაიყიდა. 5 ლოტზე კი განაცხადი არ შესულა. ყველაზე ძვირად, 157 291 ლარად, ხაიშის სატყეო უბანზე ხე-ტყის მოპოვების ლიცენზია გაიყიდა.

მისი საერთო ფართობი 1520 ჰექტარს შეადგენს, საიდანაც საექსპლოატაციოდ 96, 25 ჰექტარი არის გამოყოფილი. ლიცენზიის მფლობელი შპს "ჯითიეი კომპანი" გახდა. აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 1 093 364 ლარი შეადგინა.

**მედიანიუსი**

# „იავნანა" თბილისში სამ ტენორს ჩამოიყვანს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მასში გაერთიანებული არიან ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერის, ლა სკალასა და ლონდონის კოვენტ გარდენის იტალიელი სოლისტები მარკო ბერტი, რობერტო არონიკა და ცნობილი ქართველი მომღერალი ბადრი, მაისურაძე. მარკო ბერტი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ იტალიელ ტენორად მიიჩნევა. მარკოს კარიერა ლა სკალაში დაიწყო, სადაც მან მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ წარმოდგენებში: „ლუსია დი ლამერმოორში", „ბეატრიჩე დი ტენდაში", „ბოჰემაში", „რონდინიში" და „მაკბეტში". მსოფლიო აღიარება მან მოიპოვა მაკდუფის პარტიის შესრულებით 1999 წლის ედინბურგის ფესტივალზე განხორციელებულ დადგმაში, რასაც მოჰყვა გამოსვლები მსოფლიოს საუკეთესო თეატრებში — კოვენტ გარდენში, ჰიუსტონის „გრანდ ოპერაში", ბარსელონისა და ვერონის თეატრებში, სეზონის გახსნა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში და სხვა. პროექტის მეორე ცნობილი ტენორი, რობერტო არონიკა, დაიბადა რომში, სწავლობდა კარლო ბერგონცისთან, შემდეგ კი — სიენას ჩიგიანას აკადემიაში. მისი დებიუტი შედგა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოს „თეატრო მუნიციპალეს" სცენაზე ვერდის ოპერა „რიგოლეტოში", რის შემდეგაც მუსიკალურმა კრიტიკამ არონიკა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ტენორად აღიარა. მას მუდმივად იწვევენ ისეთ საოპერო თეატრებში, როგორებიც არის ლა სკალა, რომის ოპერა, ვენის სახელმწიფო თეატრი, ბერლინის „დოიჩე ოპერა", ბავარიის სახელმწიფო ოპერა, ლონდონის კოვენტ გარდენი, ბასტილიის ოპერა პარიზში, ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერა, სან ფრანცისკოსა და ლოს ანჯელესის საოპერო თეატრები და სხვა. რაც შეეხება მესამე ტენორს, ქართველ ბადრი მაისურაძეს, მან 1989 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (პროფესორ გოჩა ბეჟუაშვილის კლასი). მისი დებიუტი შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „მინდიაში", სადაც მან მთავარი პარტია შეასრულა. 1994 წელს ბარსელონასა და შვედეთში გამართულ ვოკალისტთა კონკურსებზე ბადრი მაისურაძე ორი მთავარი პრიზის მფლობელი გახდა, რასაც მოჰყვა მისი წარმატებული საერთაშორისო კარიერა. ბადრი მაისურაძე მღერის მსოფლიოს უდიდეს საოპერო თეატრებში — მადრიდის სამეფო თეატრში, ბერლინის „დოიჩე ოპერაში", ვენის სახელმწიფო თეატრში, მოსკოვის დიდ თეატრში და სხვა. პროექტში მონაწილეობას მიიღებს ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი, დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი. ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევთ და ჩვენი მორიგი საღამო კვლავ საქველმოქმედო იქნება.

***— ახლა სად იმყოფება ბატონი პაატა?***

— პაატა ბურჭულაძე კვლავ პარიზშია, სადაც დიდი წარმატებით მიმდინარეობს „სევილიელი დალაქი".

***— როდის ჩამოვა იგი საქართველოში?***

— თბილისში პაატა ბურჭულაძე მოწვეულ ტენორებთან ერთად 18 ოქტომბერს ჩამოვა.

***— რა ნაწარმოებები შესრულდება თქვენს მორიგ აქციაზე?***

— ქართველი მაყურებლისათვის ცნობილი და საყვარელი ნაწარმოებები შესრულდება. პროგრამაში შესულია ნეაპოლიტანური სიმღერებიც. საქველმოქმედო კონცერტი ტელემარათონის ფორმით წარიმართება. აქციაში მონაწილეობა ტელემაყურებელსაც შეეძლება. ნომერი 30-30 ქველმოქმედების მსურველი ყველა ადამიანისთვის ჩართული იქნება.

ფონდი „იავნანა" უკვე ერთი წელია ყოველთვიურად ეხმარება აგვისტოს ომის შედეგად დაობლებულ ბავშვებს. 20 ოქტომბრის აქციიდან შემოსული თანხაც აღნიშნული პროექტის გაგრძელებას მოხმარდება.


## განცხადებები

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ოსტეოპარეზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების, კოქსართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილის აღდგენა და ტკივილის სინდრომის მოხსნა მცენარეული ძვლის მკვებავი და აღმდგენი პრეპარატებით. ტელ: 858-21-77-93 ქ-ნი ფატი.

● ქირავდება საოფისე ფართი აღმაშენებლის №93-ში, 35 კვ.მ. მეტრო „მარჯანიშვილთან" ახლოს, I სართული, გამოდგება ნოტარიუსის, კომერციული საქმიანობის, მანქანების ლომბარდის, სესხება-გასესხების, სილამაზის სალონისთვის. არის სველი წერტილი, ნათელი ბინაა რკინის კარებით, გისოსებით. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, ჰეპატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. აღმაშენებლის 93.

● გირავდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ვარკეთილის მეტროსთან ზემო პლატოზე მე-9 სართულზე. ტელ. 871 22 45 62

● ექიმი გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, მათ შორის სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებს და ბუასილს. ორსულთა კონსულტაცია უფასოა. ტელ:. 99-95-33;

● სიმსუქნე, დიაბეტი, თქვენ სამუდამოდ გათავისუფლდებით ამ პრობლემებისაგან. გთავაზობთ ევროპულ მრავალგზის გამოცდილ მცენარეულ საშუალებას. ტელ: 898-85-69-38 ბექა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა და ტკივილი შარდვისას, მამაკაცური ფუნქციის სწრაფი აღდგენა-შენარჩუნება. მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38 ან 858 968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი ზრდა თვეში 3-5 სმ. მომატებით, 25 წლამდე გარანტიით, ასევე გახდომა-გასუქება აკრძალვების გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით, მკურნალობა 100%-იანი შედეგით, იმუნიტეტის გაძლიერებით. ტელ: 34-02-38 ან 895 293-299 ექიმი ქ-ნი ინგა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● იყიდება მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვაზე 1500მ². კვმ-ის ფასი 22 დოლ. (ლოტკინის მთაზე ტრამვაის ხაზთან). 855 63-14-17.

● პროსტატიტით გამოწვეული პრობლემების მოხსნასა და მამაკაცური პოტენციის მოწესრიგებაში დაგეხმარებით ამერიკული მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 855-98-49-35 კონსულტანტი ბელა.

● მოვამზადებთ ქართული და ინგლისურენოვანი სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკურ საგნებში და ზოგად უნარებში, აგრეთვე „ჯიმათის" სპეცპროგრამაში. ან დავეხმარებით მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში. ტელ: 39-08-42 ნატალია; 34-42-67, 898-36-29-49 გიორგი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

● მოვამზადებ ქართული და ინგლისურენოვანი სკოლის მოსწავლეებს ინგლისურში, აგრეთვე „ტოიფელისა" და „ჯიმათის" სპეცპროგრამებში. ტელ: 898-36-29-49; 34-42-67 გიორგი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# რობერტო კარლოსი: „რეალში უხელფასოდ ვითამაშებ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გატარებული და ამ გუნდთან ერთად ყველაფერი მოვიგე. „რეალს“ საკუთარ სახლად ვთვლი.

***— ფლორენტინო პერესმა ადრე განაცხადა, რომ კვლავ სურდა თქვენი „რეალში“ ხილვა, თუმცა არა — ფეხბურთელად.***

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია „რეალში“ დაბრუნება. სასურველი იქნება, თუ ისევ ვითამაშებ, მაგრამ, თუ ეს ვარიანტი გამორიცხულია, სიამოვნებით ვიმუშავებდი ბავშვებთან ან ახალგაზრდულ გუნდებთან და ვასწავლიდი იმას, რაც ვიცი.

***— გამოდის, რომ უკვე თანხმობას აცხადებთ...***

— მომწონს ეს ვარიანტიც და მზად ვარ მადრიდში დასაბრუნებლად.

***— იმის მიუხედავად, რომ ფლორენტინო პერესთან არცთუ კარგი დამოკიდებულება გქონდათ?***

— ჩვენ შორის უთანხმოება არ ყოფილა. მართალია, ის ჩემთან ისე ახლოს არ იყო, როგორც სხვა ფეხბურთელებთან, იმიტომ რომ გუნდში ჯერ კიდევ ლორენცო სანსის დროს მოვედი, მაგრამ ცუდად ნამდვილად არ მექცეოდა. სიმართლეა ისიც, რომ გალაქტიკოსების ხელფასი გაცილებით აღემატებოდა ჩემსას, მაგრამ არც ამაზე დამიჩივლია ოდესმე და არც ჩემს თამაშზე უმოქმედია. პერესთან ამის გამო ურთიერთობა არ გამფუჭებია.

***— რას იტყვით დღევანდელ „რეალზე“?***

— მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ბოლო თამაში წააგო „სევილიასთან“, ვთვლი, რომ „რეალი“ შესანიშნავი გუნდია. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამჟამად სევილიურ გუნდში 4 ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს, ხოლო „სანჩეს პისხუანზე“ თამაში იოლი არასდროს ყოფილა. ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ სევილიაში, ბარსელონასა და ბილბაოში თამაში ყოველთვის რთული იყო.

***— თქვენ „რეალს“ გრანდად თვლით, მაშინ როდესაც მას ძალიან ბევრი სპეციალისტი აკრიტიკებს.***

— ეს ძალიან ნორმალურია. ახლა მთავარია, ყველაფერი თავიდან დაიწყონ. „რეალს“ შესანიშნავი გუნდი ჰყავს, რომელსაც შეუძლია მოიგოს ჩემპიონთა ლიგა საკუთარ „ბერნაბეუზე“. ეს გუნდის მთავარი ამოცანაა. მთავარია, სიმშვიდე შეინარჩუნონ, იპოვონ საკუთარი თამაში და გოლების გატანა გააგრძელონ.

***— საყოველთაო ყურადღების ცენტრშია გუნდის მთავარი მწვრთნელი მანუელ პელეგრინიც.***

— კრიტიკა „რეალისთვის“ ნორმალური ამბავია. ეს ეხება როგორც მწვრთნელს, ასევე — ფეხბურთელებს. წლები გადის, მაგრამ ამ მხრივ არაფერი იცვლება. რაც შეეხება პელეგრინის, მან ესპანეთში მუშაობის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაამტკიცა, რომ კარგად ერკვევა ფეხბურთში. ამის გამო ყველა პატივისცემით უნდა მოექცეს.

***— თქვენი თანამემამულე, თქვენსავე პოზიციაზე მოთამაშე მარსელო ბოლო მატჩში აშკარად ვერ გაუმკლავდა ხესუს ნავასს.***

— არიან ფეხბურთელები, რომელთა დაჭერა ძალიან ძნელია და ნავასიც მათ კატეგორიას მიეკუთვნება. ამ ბიჭს ძალიან დიდი მომავალი აქვს. ნავასი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მარსელო არ უნდა შეეგუოს ამ წარუმატებლობას და გააგრძელოს იმის კეთება, რაც შეუძლია.

***— „რეალშია“ კიდევ ერთი თქვენი თანამემამულე, კაკა.***

— მასზე ყოველთვის დიდი წარმოდგენის ვიყავი. ჩვენ ერთად ვთამაშობდით ბრაზილიის ნაკრებში. ჩემი გზები რონალდუსთან არასდროს გადაკვეთილა და მასზე ვერაფერს გეტყვით, კაკა კი ჩემთვის პირველი ნომერია.

***— ნახეთ იკერ კასილიასის წარმოუდგენელი სეივი „სანჩეს პისხუანზე“?***

— ეს მთელმა მსოფლიომ ნახა. კასილიასი მართლაც შესანიშნავ ფორმაშია და მახარებს მისი წარმატებები, რადგან ის ჩემი მეგობარია. ღმერთმა ქნას, ასევე შესანიშნავად გააგრძელოს კარიერა.

***— როგორი გრძნობით ადევნებდით თვალს 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას რიო დე ჟანეიროსა და მადრიდს შორის?***

— აღფრთოვანებით. ქვეყნის პრეზიდენტთან ძალიან მეგობრულად ვარ, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხე, მისთვის მიმელოცა. ჩვენი გამარჯვება წარმოუდგენელი იყო და მოხარული ვარ, რომ ასე მოხდა. ჯერ კიდევ ადრეა საუბარი მოსამზადებელ სამუშაოებზე, მაგრამ მზად ვარ მონაწილეობა მივიღო როგორც 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის, ასევე 2016 წლის ოლიმპიადის ორგანიზაციულ საკითხებში. ეს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებია.



# საგამოფენო მატჩში ფაჩულიამ 17 ქულა გამოფინა

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ შესანიშნავად დაიწყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მოსამზადებელი პერიოდი. ნბა-ში სეზონის დაწყებამდე თვეზე ნაკლები დარჩა, მაგრამ გუნდებმა უკვე დაიწყეს საგამოფენო მატჩების გამართვა. ზაზას „ატლანტა ჰოკსმა“ პირველი მატჩი კრის პოლის „ნიუ ორლეანთან“ გამართა და 108:102 დაამარცხა.

მართალია, ფაჩულიას სასტარტო ხუთეულში არ დაუწყია თამაში, მაგრამ კონკურენტ ალ ჰორფორდზე მეტი დრო გაატარა მოედანზე და თავის გუნდში შედეგიანობით მეორე იყო. ჩვენებურის მონაგარი 17 ქულაა, რასაც კიდევ 5 მოხსნა დაურთო. ქულების უმეტესი რაოდენობა ზაზამ ორქულიანი სროლებით მოაგროვა — 7 ნასროლიდან 5 ზუსტად მოათავსა კალათში, ხოლო 11 საჯარიმო ნასროლიდან მხოლოდ 7-ჯერ ივარგა.

ფაჩულიაზე შედეგიანი ატლანტელთა ახალწვეული ჯეფ ტიგუ იყო, რომელიც გუნდმა წელს მე-19 ნომრად აიყვანა დრაფტზე — მისი მონაგარი 19 ქულაა. რაც შეეხება ნიუორლეანელთა ლიდერ კრის პოლს, ის გუნდს 20 ქულითა და 7 შედეგიანი გადაცემით შეეწია.

„ატლანტა“ მორიგ მატჩს 11 ოქტომბერს გამართავს და მისი მეტოქე „დეტროიტი“ იქნება.

# სწავლულებმა პენალტის საიდუმლო დაადგინეს

სპორტული საქმეების სწავლულები შეეცადნენ, ფეხბურთში პენალტის საიდუმლო გაეხსნათ. რატომ ხდება, რომ არიან ფეხბურთელები, რომლებიც ამ საქმეს კარგად ასრულებენ და პირიქით, არიან ისეთებიც, რომლებსაც 11 მეტრიდან დარტყმა სხვებზე მეტად უჭირთ? ამ გამოკვლევის შედეგებმა ყველაზე მეტად ინგლისელები დააინტერესა.

გამოკვლევა ნორვეგიის სპორტული ცოდნის სკოლაში ჩატარდა და დაადგინეს, რომ ცნობილი ფეხბურთელები, უბრალოდ, ვერ უძლებენ დატვირთვას და ან კარს აცილებენ ბურთს, ანაც პირდაპირ მეკარეს ახვედრებენ.

ნორვეგიელი სწავლულები ამ დასკვნამდე იმ პენალტების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ მივიდნენ, რომლებიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაში დაურტყამთ ფეხბურთელებს. ყველაზე დიდი ყურადღება გამახვილებული იქნა თერთმეტმეტრიანის დარტყმის დროს დახარჯულ დროზე. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელი, რომელიც სასტვენისთანავე იწყებს პენალტის დარტყმას, უფრო ხშირად აგებს დუელს მეკარესთან, ვიდრე ის, ვინც სასტვენის შემდეგ მცირე პაუზას აკეთებს. სწავლულთა გამოკვლევით, ფეხბურთელებს, რომლებიც გამორბენს სასტვენიდან 2 მილიწამის (0,002) შემდეგ იწყებენ, პენალტების მხოლოდ 57 პროცენტი გააქვთ, ხოლო მათ, ვინც ერთწამიან და მეტ პაუზას აკეთებენ, ერთნახევარჯერ მეტი — 80 პროცენტი. ასევე დაადგინეს, რომ ფეხბურთელი, რომელიც დიდხანს ასწორებს ბურთს პენალტის ნიშნულთან, უფრო დამშვიდებულია და თავს კარგად აკონტროლებს.

რატომ გამოიწვია ამ დასკვნამ ყველაზე დიდი ინტერესი ინგლისში? ალბათ, იმიტომ, რომ ინგლისელ ფეხბურთელებს ხშირად ვერ გააქვთ 11 მეტრიდან მეტოქეთა კარში მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე და ნისლიან ალბიონზე უკვე არაერთი წელია, პენალტებს წყევლიან. როგორც ინგლისელები თვლიან, ეს კოშმარი 1990 წელს დაიწყო იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამ ჩემპიონატზე ინგლისელებმა ნახევარფინალში წააგეს გერმანიის ნაკრებთან მატჩის შემდგომ პენალტებში — ვერ გაიტანეს სიუარტ პირსმა და კრის უოდლიმ. 6 წლის შემდეგ გერმანელებმა ფინალის გზა ფეხბურთის დამაარსებლებს უკვე ევროპის ჩემპიონატზე გადაუკეტეს. მაშინ გადამწყვეტ მომენტში პენალტი გარეთ საუთგეტმა ვერ გაიტანა. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პოლ ინსისა და გარეთ ბერის გაცუდებული პენალტებით ინგლისის ნაკრებმა უკვე არგენტინასთან წააგო. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრების კარში პენალტები ვერ გაიტანეს დევიდ ბექჰემმა (ბექჰემის ის აცილებული ბურთი ინტერნეტ-აუქციონზე 28.000 ევროდ მავანმა კანადელმა ქალბატონმა შეიძინა) და დარიუს ვასელმა. ყოველივე ამის შემდეგ ინგლისში პენალტების სერიის როგორც 13 რიცხვის და პარასკევისა, ისე ეშინიათ.

ინგლისის ნაკრებმა უკვე მოიპოვა 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება და მისი მთავარი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს თქმით, გუნდის ყველა ფეხბურთელი ვარჯიშებზე დიდ დროს უთმობს პენალტების შესრულების სიზუსტეს.

# ფიფა ინგლისს აკრიტიკებს, ტრაპატონი — ფიფას

ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჯეკ უორნერმა ინგლისელთა განაცხადი 2018 და 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე გააკრიტიკა.

— ინგლისელებმა უნდა გაიგონ, რომ მათ განაცხადს გაუმჯობესება სჭირდება. ჯერჯერობით მათი პირობები ამ დიდი ფორუმის ჩატარების შესაძლებლობას არ აკმაყოფილებს და ახლა რომ ჩატარდეს გამარჯვებული ქვეყნის არჩევნები, პირველი ინგლისელთა წინააღმდეგ წავიდოდი. იმავეს ვეუბნებოდი მათ, როდესაც 2006 წლის მასპინძლობაზე შემოიტანეს განაცხადი, მაგრამ, ეტყობა, ყურად არ იღეს და, სავარაუდოდ, იგივე დაემართებათ მომდევნო არჩევნებში, — აცხადებს უორნერი.

შეგახსენებთ, რომ 2018 და 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის 8 განაცხადზე პრეტენზიას 10 ქვეყანა აცხადებს: ავსტრალია, ინგლისი, პორტუგალია და ესპანეთი (ერთდროულად), იაპონია, აშშ, ბელგია და ჰოლანდია (ერთდროულად) და რუსეთი.

თუ ფიფა ინგლისს აკრიტიკებს, კიდევ ერთი ბრიტანული ქვეყნის, ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი, უკვე ფიფას აკრიტიკებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპის პლეი-ოფებში გუნდების განთესვის თაობაზე.

საქმე ის არის, რომ ევროპულ ზონაში 8 მეორეადგილოსანი გუნდი ფიფას ვერსიით ორ კალათად რეიტინგის მიხედვით გაიყოფა (ძლიერებად და სუსტებად) და ისე გამოავლენს 4 გუნდს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებენ. სწორედ ეს დაყოფა არ მოსწონს იტალიელ სპეციალისტს, რომლის გუნდი, სავარაუდოდ, მეორე ადგილზე გავა შესარჩევ ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრებიც თამაშობს.

— ეს გადაწყვეტილება ღუპავს ფეხბურთს. ხომ შეიძლება, კენჭისყრა ბრმად ჩატარდეს და რომელიმე შედარებით სუსტ გუნდს მიეცეს მუნდიალზე მოხვედრის შანსი. ყველა ნაციონალურ გუნდს თანაბარი უფლებები გააჩნია და ეს დაყოფა ამ პრინციპს ეწინააღმდეგება, — აღნიშნა ტრაპატონიმ.

# ძმები კლიჩკოები ერთმანეთის ცემას არ აპირებენ

მსოფლიოს ჩემპიონი კრივში ვბც-ს ვერსიით, ვიტალი კლიჩკო, რომელმაც საჩემპიონო ქამარი სულ ახლახან კრის არეოლასთან ჩხუბში დაიცვა, ტიტულის დაცვას მალევე, 12 დეკემბერს შეეცდება ამერიკელ კევინ ჯონსონთან. სად ჩატარდება ბრძოლა, ჯერ ცნობილი არ არის. თავად კლიჩკოს სურდა, ჩხუბი დონეცკში, „დონბას არენაზე“ შემდგარიყო, მაგრამ ამ წინადადებას მეტოქე არ თანხმდება და ჯერჯერობით სავარაუდო ვერსიად შვეიცარიული ბერნი რჩება.

ჯონსონს ამჟამად რეიტინგში მე-6 ადგილი უჭირავს და 23 ჩატარებული ბრძოლიდან 22-ში გამარჯვება აქვს მოპოვებული.

ვბა-ს ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონი ნიკოლაი ვალუევი ქამარს 7 ნოემბერს დევიდ ჰეიასთან დაიცავს. ბრიტანელ მოკრივესთან საჩხუბრად ვალუევმა ამერიკელი მოკრივეები დაიქირავა სპარინგ-პარტნიორებად.

ძალიან ბევრს საუბრობენ ამ ორი მოკრივის ერთმანეთთან შეხვედრაზე გაერთიანებული ვერსიით, მაგრამ ჯერ საქმე სასიკეთოდ არ იძვრის. ამ ჩხუბის ჩატარება ვალუევის ადვოკატს, კრივის სამყაროში კარგად ცნობილ დონ კინგს სურს. მას ეთანხმება თავად მოკრივეც. ერთადერთი, ვინც ამ ჩხუბის წინააღმდეგია, თავად მოკრივის მწვრთნელია, რომელიც თვლის, რომ ამ ეტაპზე მისი შეგირდი მზად არ არის კლიჩკოსთან საჩხუბრად და სიჩქარემ შესაძლოა რუს მოკრივეს პირველი მარცხი აგემოს.

კლიჩკო კი ამ ჩხუბისთვის თავის პირობებს აყენებს და შემოსავლის დიდ ნაწილს ითხოვს. მას უნდა ჰქონდეს რინგთან ახლოს ბილეთებისა და ტელეტრანსლაციების გაყიდვის უფლება. კლიჩკოს პირობა გასაგებია — ეს ჩხუბი მეტოქეს უფრო სჭირდება, ვიდრე თავად ჩემპიონს.

გაქნილი დონ კინგი კი ძმების გადაკიდებასაც ცდილობს — ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოებს შესთავაზა, ერთმანეთში იჩხუბეთ ქამრისთვის და მზად ვარ, 150 მილიონი ვიშოვოო, მაგრამ ძმები კატეგორიულ უარზე არიან, ერთმანეთის ცემას არ აპირებენ და თავს მშვიდად გრძნობენ.

# ძაგნიძემ ჩემპიონობის შანსი გაიუარესა

ჩინეთის ქალაქ ნანჯინგში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრიზე ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის შანსი გაიუარესა ქართველმა ნანა ძაგნიძემ.

მე-10 ტურის წინ ჩვენებური მასპინძელ ქსუ იუჰუასთან ერთად 6,5 ქულით ლიდერობდა ტურნირს, მაგრამ გუშინ მონღოლ ბატხუაგ მუნგიტაალთან შეხვედრაში მხოლოდ ყაიმს დასჯერდა, მისმა კონკურენტმა კი რუს ბაირა კინოვანოვას მოუგო.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ ჩინელ მოჭადრაკეს 7,5 ქულა მოუგროვდა და ნახევარი ქულით უსწრებს ძაგნიძეს, რაც ჩვენებურის შანსს ამცირებს.

ბოლო ტურში ძაგნიძე კიდევ ერთ ჩინელ მოჭადრაკეს, ჟაო ქსუეს შეხვდება, რომელმაც გუშინ მესამეადგილოსან ფრანგ მარია სებაგს მოუგო და თავად 6,5 ქულა მოუგროვდა, იუჰუას მეტოქე კი სებაგი იქნება.

მოკლედ, ბოლო ტურის წინ ძაგნიძე ჩემპიონობის შანსსაც ინარჩუნებს, ხოლო წაგების შემთხვევაში შესაძლოა მეოთხე ადგილს დასჯერდეს.

# ქართული ფეხბურთის ახალგაზრდული დღე

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ფეხბურთელთა ასაკობრივი ნაკრებებისთვის.

ახალგაზრდული ნაკრები 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს დუბლინში ირლანდიელებთან გამართავს. ოთარ გაბელიას შეგირდებს ჯერ 2 მატჩი აქვთ გამართული და ერთი მოგება და ერთი მარცხი აქვთ. დუბლინში გაბელია ოპტიმისტურად ჩავიდა და გულშემატკივრებს შემტევი ფეხბურთის ჩვენებას ჰპირდება, თუმცა არ ივიწყებს, რომ მასპინძლები, ტრადიციულად, ძლიერები არიან სტანდარტული მდგომარეობების შესრულებისს და ამ ფაქტორზე დიდი ყურადღებით ავარჯიშებს.

თავის მხრივ, საქართველოს ნაკრებთან მოგებას გეგმავენ ირლანდიელებიც, რომლებსაც 2 მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აქვთ აღებული და პირველ მოგებას სწორედ ჩვენთან აპირებენ. რა გამოუვათ, ამას დღევანდელი მატჩი გვიჩვენებს, თუმცა, ჩვენი მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ნაკრებიდან „გაძლიერებული“ საქართველოს ნაკრები ამ დროისთვის არცთუ ხელწამოსაკრავი მეტოქეა. გაბელიამ გუნდი ლევან ყენიათი, ჯანო ანანიძითა და მათე ვაწაძით გააძლიერა.

ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ ანანიძე უკვე 19-წლამდელთა ნაკრებს შვედეთში შეუერთდება, რომელიც დღეს იწყებს შესარჩევ ეტაპს და პირველ მეტოქედ უკრაინის ნაკრები ეყოლება. მათ გარდა, ჩვენებს თამაში მასპინძლებთან და ჩერნოგორიელებთან მოუწევთ. სწორედ ამ მატჩებისთვის გააძლიერებს ანანიძე შეყილაძის გუნდს.

19-წლამდელთა შესარჩევი ეტაპიდან შემდეგ ეტაპზე ორი საუკეთესო გუნდი გადის.

## შედეგები

### ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი(20)**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ურუგვაი | 3:1 |
| ვენესუელა-ა.გ.ემირატები | 1:2 |
| გერმანია-ნიგერია | 3:2 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| სან ხოსე-დალასი | 1:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ბარუერი-სანტა ანდრე | 0:0 |
| რესიფე-სანტოსი | 0:1 |
| ატლეტიკო(პ)-გრემიო | 0:0 |
| სან პაულუ-კურიტიბა | 2:2 |
| ვიტორია-ფლამენგო | 3:3 |
| ინტერნასიონალი-ნაუტიკო | 3:1 |
| ფლუმინენსე-კორინთიანსი | 1:1 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| ტიგრე-ჰურაკანი | 2:2 |
| ბანფილდი-ტუკუმანი | 1:1 |
| გოდოი-ოლდ ბოიზი | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. საგამოფენო მატჩები**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ნიუ ორლეანი | 108:102 |
| ორლანდო-მაიამი | 90:86 |
| ტორონტო-ფილადელფია | 79:84 |
| დეტროიტი-მილუოკი | 113:104 |
| მემფისი-ოკლაჰომა | 99:91 |
| ჰიუსტონი-ბოსტონი | 96:90 |
| ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი | 118:101 |
| საკრამენტო-პორტლენდი | 86:89 |

### ჩოგბურთი

**პეკინი. ატპ. ჰარლი**

| | |
|---|---|
| ჯოკობიჩი-ტროიცკი | 6:3;6:0 |
| ლუბიჩიჩი-კუბოტი | 7:6;4:6;6:4 |
| ნადალი-ბლეიკი | 7:5;6:7;6:3 |
| გონსალესი-საფინი | 3:6;4:6 |

**ტოკიო. ატპ. ჰარლი**

| | |
|---|---|
| მონფილსი-ჩიუდინელი | 7:6;6:3 |
| ჰიუიტი-სანტორო | 3:6;6:3;6:1 |
| მელცერი-როჟე ვასელინი | 6:4;2:6;3:6 |
| ბერდიხი-ბეკ | 6:4;6:1 |
| ცონგა-გასკე | 4:6;6:2;6:2 |
| გილბისი-მონაკო | 6:3;6:1 |
| სიმონი-იუჟნი | 6:7;7:6;4:6 |

**პეკინი. ვტა. ჰარლი**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-ჟანგი | 6:1;6:4 |
| რადვანსკა ა.-მარტინესი | 4:6;6:4;6:2 |
| ზვონარევა-პენეტა | 6:3;5:7;7:5 |
| უილიამსი!ს.-პეტროვა | 4:6;6:3;6:7 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| პიტსბურგი-ფინიქსი | 0:3 |
| ვანკუვერი-მონრეალი | 7:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი
### 9 ოქტომბრისთვის



**წლის 282-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 83 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-18 შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.

მიცვალება ყოვლადქებული მოციქულისა და მახარებლისა, წმიდა იოანე ღვთისმეტყველისა.

იოანე ღვთისმეტყველი იყო ძე ზებედესი და სალომესი. ის თავის ძმასთან ერთად იესოს თორმეტ მოწაფეთა შორის იყო. იესოს ჯვარცმის შემდეგ იოანე მოყვარულ შვილსავით ზრუნავდა მარიამზე, რომელიც უფალმა მას ჩააბარა. ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ იოანე ეფესოსა და მცირე აზიის სხვა ქალაქებში გაემართა სახარების საქადაგებლად.ამ ხანებში დაიწყო სასტიკი დევნულობა ქრისტიანებისა იმპერატორ ნერონისაგან. წმ.იოანე შეიპყრეს და განსასჯელად რომში წაიყვანეს. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ უფალმა დაიფარა თავისი რჩეული. მოციქულმა მორჩილად დალია სასიკვდილო საწამლავი და ცოცხალი დარჩა.უფალმა იესო ქრისტემ თავის საყვარელ მოწაფეს — იოანე ღვთისმეტყველსა და მის ძმას მოციქულ იაკობს მიანიჭა სახელი "ძენი ქუხილისანი" — ანუ მაუწყებლად და მატარებელად გახადა ისინი ზეციური ცეცხლისა.

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა ხატისა, რომელიც ჩამოსვენდა საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან (1989).

### დაიბადნენ:

1202 — რობერ დე სორბონი, ფრანგი თეოლოგი, XVII საუკუნიდან მის სახელს ატარებს პარიზის უნივერსიტეტი. გარდაიცვალა 1274 წელს.

1547 — მიგელ დე სერვანტეს საავედრა, დიდი ესპანელი მწერალი. გარდაიცვალა 1623 წელს.

1835 — შარლ კამილ სენ-სანსი, ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1921 წელს.

1843 — ნიკო ნიკოლაძე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1928 წელს.

1874 — ნიკოლაი რერიხი, რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1947 წელს.

1891 — სერგეი იუდინი, რუსი ქირურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1954 წელს.

1901 — იარომირ იედლიჩკა, ჩეხი ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1965 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1909 — ჩეზარე ლომბროზო, იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი და ანთროპოლოგი, დაიბადა 1835 წელს.

1926 — ვასო აბაშიძე, გამოჩენილი ქართველი მსახიობი, დაიბადა 1854 წელს.

1958 — პიუს XII, რომის პაპი. დაიბადა 1876 წელს.

1967 — ანდრე მორუა, ფრანგი მწერალი. დაიბადა 1885 წელს.

### მოვლენები:

1776 წელი — ესპანელი მისიონერები დასახლდნენ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა სან-ფრანცისკო ეწოდება.

1836 — რუსეთში გაიხსნა პირველი რკინიგზა.

1855 წელი — ისააკ ზინგერმა საკერავი მანქანა დააპატენტა.

1874 — დაარსდა მსოფლიო საფოსტო კავშირი.

1876 — პირველი ორმხრივი სატელეფონო საუბარი გარეგაყვანილობით.

1914 წელი — I მსოფლიო ომის დროს გერმანიის არმიამ ბელგია დაიკავა.

1915 — ავსტრია-უნგრეთმა დაიპყრო ბელგრადი.

1940 წელი — ლონდონში წმ. პავლეს საკათედრო ტაძარი დაბომბეს ნაცისტებმა.

1944 — გაიხსნა მოსკოვის კონფერენცია. ჩერჩილი და აშშ—ს წარმომადგენელი ჰარიმანი შეხვდნენ სტალინს და განიხილეს შემდგომი საბრძოლო მოქმედებების გეგმა.

1953 — კონრად ადენაუერი აირჩიეს დასავლეთ გერმანიის კანცლერად.

1961 — ტანგანიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

1962 — უგანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

1975 — ანდრეი სახაროვს მიანიჭეს ნობელის პრემია.

1980 — ჩესლავ მილოშს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს.

1984 — პირველი ამერიკელი ქალი — ქეითი სალივანი გაფრინდა კოსმოსში.

1991 — საბჭოთა კავშირმა ლატვიასა და ესტონეთთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა.

1997 - დარიო ფოს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ფოსტის მსოფლიო დღე

აზერბაიჯანი - არმიის დღე

უგანდა - დამოუკიდებლობის დღე.

სამხრეთ კორეა - კორეული ანბანის დღე.

პერუ - ეროვნული ღირსების დღე.

**მედიანიუსი**

## „თაიმსმა" მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგი შეადგინა



ყოველკვირეულმა „თაიმს ჰაია ედიუქეიშნმა" მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა.

გამოცემა, რომელიც ბრიტანული გაზეთის „თაიმსის" დამატებას წარმოადგენს, პლანეტის საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების სიას 2004 წლიდან ადგენს.

ამჯერად რეიტინგის შედგენაში 9386 მეცნიერისა და უნივერსიტეტების ამასწინანდელი კურსდამთავრებულების 3281 დამქირავებლის აზრი გაითვალისწინეს.

აღსანიშნავია, რომ ლაპარაკია მხოლოდ მიღებული განათლების ხარისხზე და არა უნივერსიტეტების კვლევით საქმიანობაზე.

პირველი 16 ადგილი ტრადიციულად ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის 16-მა უმაღლესმა სასწავლებელმა დაიკავა.

პირველ ადგილზე, ისევე როგორც შარშან, ჰარვარდის უნივერსიტეტი გავიდა.

ამერიკული უნივერსიტეტები კვლავინდებურად დომინირებენ სიაში და 200-დან 54 პოზიცია უკავიათ.

მიუხედავად ამისა, ექსპერტების აზრით, აშშ-ის, როგორც „საუნივერსიტეტო ზესახელმწიფოს" სტატუსი წლეულს არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება.

გარდა ამისა, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების რეიტინგში წლიდან წლამდე იზრდება აზიური უნივერსიტეტების წილი. წლეულს მათი რიცხვი 32-ს აღწევს.

ყველაზე მაღლა აზიის უნივერსიტეტებს შორის ტოკიოს უნივერსიტეტი ავიდა — 22-ე ადგილზე. მას ჰონგ კონგის უნივერსიტეტი მოსდევს — 24-ე ადგილი.

აზიის უნივერსიტეტების წარმატება აიხსნება მასობრივი ფინანსური დახმარებით, რომლებსაც აზიის ქვეყნები საკუთარ საუკეთესო უნივერსიტეტებს უწევენ.

გარდა ამისა, სპეციალისტები ბრიტანული უმაღლესი სასწავლებლების თვალშისაცემ წარმატებასაც აღნიშნავენ. სიაში 29 ბრიტანული სასწავლებელია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი და საიმპერიო კოლეჯი, რომლებიც შესაბამისად მე-4 და მე-5 ადგილებზე არიან.

ყველაზე მაღლა ბრიტანული უნივერსიტეტებიდან კემბრიჯის უნივერსიტეტი ავიდა, რომელმაც მეორე ადგილი დაიაკვა და თავის ძველ მეტოქეს, ოქსფორდის უნივერსიტეტს აჯობა.

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგის პირველი ათი წევრი ასე გამოიყურება:

1. ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ)
2. კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
3. იელის უნივერსიტეტი (აშშ)
4 ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
5-6. ლონდონის საიმპერიო კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
5-6. ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
7. ჩიკაგოს უნივერსიტეტი (აშშ)
8. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ)
9-10. კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (აშშ)
9-10. კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ)

## საბურნს კიდევ ერთი რგოლი აღმოუჩინეს



პლანეტა სატურნის გარშემო მეცნიერებმა ახალი სარტყელი აღმოაჩინეს, რომელიც დღემდე ცნობილ სარტყელებზე გაცილებით დიდი ზომისაა.

მტვრისაგან შემდგარი სარტყელი გაზის გიგანტისაგან დაახლოებით 13 მილიონი კილომეტრის მოშორებით ბრუნავს, რაც სხვა რგოლების რადიუსზე თითქმის 50-ჯერ მეტია.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მტრის ნაწილაკები, რისგანაც ეს რგოლი შედგება სატურნის მრავალრიცხოვანი თანამგზავრებიდან ერთ-ერთის, თებეს ნამსხვრევებია, რომლებიც მასთან სხვა ციურ სხეულებთან შეტაკების შედეგად გაიფანტნენ კოსმოსში.

მეცნიერების აზრით, თებესაგან ადენილ მტვერს სატურნი იზიდავდა, მაგრამ დედა პლანეტას შემდეგ სატურნის კიდევ ერთი თანამგზავრი, იაფეტი ეცილებოდა.

იაფეტმა დიდი ხანია, რაც ასტონომებს თავსატეხი გაუჩინა. მისი ერთი ნახევარი ღია ფერისაა, მეორე კი ძალიან მუქი.

იმ შემთხვევაში, თუკი დადასტურდა, რომ სატურნის თანამგზავრი მტვრის ნაწილაკებს იზიდავს, ამ ორფეროვნების საიდუმლო გამოირკვევა.

მეცნიერების თქმით, თებეს ნაწილაკები იაფეტს თითქმის შვეულად ეცემიან და ისე ცვივიან მასზე, როგორც მწერები მანქანის საქარე მინაზე.

იაფეტის ბნელი მხარის სპექტრული ანალიზის შედეგები თებეს ზედაპირის ანალიზის შედეგებს ჰგავს.

რაც შეეხება ახალ რგოლს, მისი ზომები მართლაც შთამბეჭდავია და მას მზის სისტემაში ანალოგი არ მოეძებნება.

სატურნის ადვილად შესამჩნევი რგოლებიდან, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ყინულისა და მტვრისაგან შედგებიან, ყველაზე შორს პლანეტისაგან ე.წ. ი-სარტყელი მდებარეობს. იგი თანამგზავრ ენცელადის ორბიტის იქითაა და პლანეტიდან სულ რაღაც 240 ათასი კილომეტრით არის დაშორებული.

მტვრის ახალი რგოლი კი პლანტისაგან გაცილებით შორს მდებარეობს, იგი გაცილებით ფართოა და მისი ორბიტა 27 გრადუსით არის დახრილი სიბრტყის მიმართ, რომელშიც სხვა სარტყლები მდებარეობენ.

ეს გარემოება ადასტურებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც იგი თებეს ნამსხვრევებისაგან უნდა შედგებოდეს. ამ თანამგზავრის ორბიტაც ასევეა ძლიერ არის დახრილი.

მეცნიერები ამ სარტყლის არსებობას თეორიული კვლევების საფუძველზე დიდი ხნის წინ წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი დადასტურება ნასას კოსმოსური ტელესკოპის „სპიტცერის" წყალობით მხოლოდ ამას წინათ მოხერხდა.

მტვრის ნაწილაკების ზომა ძალიან მცირეა და მათი ზომა მეტრის მემილიონედს არ აღემატება. სარტყელი ძალიან ფაშარია და მტვრის მთლიანად შეგროვების შემთხვევაში იგი თებეს ზედაპირზე მხოლოდ ერთი, არა უმეტეს ერთი კილომეტრი დიამეტრის მქონე კრატერს ამოავსებდნენ.

თებეს ზედაპირი კი მთლიანად კრატერებით არის დაფარული, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობის ისტორიის განმავლობაში თებას არაერთი კოსმოსური ობიექტი დასჯახებია.

ამ ობიექტების ფრაგმენტები სავარაუდოდ, ასევე სატურნის გარშემო ბრუნავდნენ. დანარჩენები კი კოსმოსური სივრცის სიღრმეებიდან მოფრინდნენ.

## „განს ენდ როუზისს" პლაგიატისთვის უჩივიან



ამერიკული ანსამბლი „განს ენდ როუზის" კატეგორიულად უარყოფს პლაგიატის ბრალდებებს, რომელიც მას ერთბაშად ორმა ხმისჩამწერმა კომპანიამ წაუყენა.

— „განს ენდ როუზის" მისი მისამართით გამოთქმული ნებისმიერი პრეტენზიების გასაჩივრებისათვის მზადაა და ბრალდებებს ღირსეულ პასუხს გასცემს, — განაცხადა ჯგუფის მენეჯერმა ირვინგ აზოფმა, — ალბომის გამოსვლის მომენტისათვის ჯგუფი დარწმუნებული იყო და ახლაც დარწმუნებულია, რომ სიმღერებში არ არის გამოყენებული ფრაგმენტები, რომელთა გამოყენებისთვისაც ნებართვა იყო საჭირო.

„განს ენდ როუზს" ბრალდებები ბრიტანულმა „ინდეფენდიენთემ" და ამერიკულმა „დომინო რეკორდსმა" წაუყენეს. ბრალდებების თანახმად, ანსამბლის წევრებმა ერთ-ერთ კომპოზიციაში გერმანელი მუსიკოსის, ულრიხ შნაუსის კომპოზიციის „ფრაგმენტები გამოიყენეს.

ორივე კომანია შნაუსის ნაწარმოებების ჩაწერის უფლებებს ფლობს და „განს ენდ როუზისაგან" პლაგიატისათვის 1 მილიონი დოლარის მოთხოვნას აპირებს.

ჯგუფი „განს ენდ როუზის", რომელიც ლოს ანჯელესში 1985 წელს შეიქმნა, 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ანსამბლი იყო.

მსოფლიო პოპულარობა მათ პირველმა ალბომმა „ნგრევისადმი მიდრეკილებამ" მოუტანა, რომელიც 28 მილიონზე მეტი ეგზემპლარით გავრცელდა.

ანსამბლის ბოლო ომი „ჩინური დემოკრატია", რომელიც სასამართლო განხილვების საგანი გახდა, 2008 წლის ნოემბერში გამოვიდა. ანსამბლის თაყვანისმცემლებისათვის ეს ალბომი ნამდვილ სენსაციად იქცა, რომელსაც 15 წლის განმავლობაში ელოდნენ, თუმცა გაყიდვების მოცულობა საკმაოდ მოკრძალებული აღმოჩნდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა; 2. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. პატარა ტანის ავსტრალიური კენგურუ; 4. სატანვარჯიშო იარაღი; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 12. ჩეხეთისა და „ჩელსის" ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. დასაკეცი ჯიბის დანა; 20. ოპერა „ფაუსტის" კომპოზიტორი.

**თარაზულად:** 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ფრანგული მინერალური წყალი; 10. ოფიცრის ჩინი; 11. ზოდიაქოს ნიშანი; 15. ამერიკელი ველოსიპედისტი, „ტურ-დე-ფრანსის" შვიდგზის გამარჯვებული; 17. კინოს ძველი სახელწოდება; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ყველაზე დაბალი ქალის სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იოგურტი; 2. იტალიანა; 3. ეტიკეტი; 5. ნეისმიტი; 7. ფოსტერი; 9. ნავიგაცია; 13. კაქტუსი; 15. პამირი; 16. კუპერი; 18. რეინა.

**თარაზულად:** 4. ფოლკნერი; 6. ესტაფეტა; 8. კულტივატორი; 10. მეტრიკა; 11. ვატი; 12. ბრინზა; 14. შპიცი; 17. განჯა; 19. იმედი; 20. რენტგენი; 21. ალჩუ; 22. სიურპრიზი; 23. რავიოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფარნეზე; 2. კაპუცინი; 3. ძეწკვი; 4. ტოსკა; 5. მინისტრი; 8. ფოლკლორი; 12. დალი; 13. ციცერონი; 14. ბინოში; 16. ხიმინჯი; 18. ლობიო; 20. ლოქო.

**თარაზულად:** 6. მალვაზია; 7. სტეტსონი; 8. ფატუმი; 9. ბერიო; 10. ცირეკიძე; 11. სენდვიჩი; 15. ჰიპერტონია; 17. ფინიკი; 19. შარლატანი; 21. კოლომბო; 22. ციტოლოგია; 23. კოკაინი.

# ქაბულში ინდოეთის საელჩოსთან ძლიერი აფეთქება მოხდა



ავღანეთში თალიბების წარმომადგენლებმა ქაბულის ცენტრში მომხდარი აფეთქების პასუხისმგებლობა იტვირთეს. ამ აფეთქების შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, 80 დაშავდა.

აფეთქება ავღანეთის შს სამინისტროსა და ინდოეთის საელჩოს მახლობლად მოხდა.

თალიბების წარმომადგენლის, ზაბიულა მუჯაჰიდის განცხადებით, რომელიც თალიბების საიტზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ თავდასხმის სამიზნეს ინდოეთის საელჩო წარმოადგენდა.

გავრცელებული განცხადების თანახმად, თვითმკვლელმა საელჩოს შენობის კედელთან გაჩერებული მანქანა ააფეთქა.

აფეთქების შედეგად დანგრეულია მისიის გარშემო შემოვლებული კედლის ნაწილი.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნირუპამა რაომ მანამდე განაცხადა, რომ მისი აზრით, თვითმკვლელის თავდასხმა ინდოეთის საელჩოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

აფეთქების შედეგად საელჩოს დაცვის სამსახურის სამი წევრი ნამსხვრევებით დაიჭრა.

ქაბულში ინდოეთის საელჩოს პირველად არ ესხმიან თავს. 2008 წლის ივლისში საელჩოს კარს დანაღმული ავტომობილი დაეჯახა, რომელსაც ასევე თვითმკვლელი მართავდა. შედეგად 41 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის საელჩოს 5 თანამშრომელი. 141 ადამიანი დაიჭრა.

ბოლო დროს ქაბულში სულ უფრო ხშირად ისმის თვითმკვლელების მიერ ორგანიზებული აფეთქებების ხმა.

გასულ თვეში სამხედრო კოლონაზე თვითმკვლელის თავდასხმის შედეგად ექვსი იტალიელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

# იაპონიას „მელორი“ დაატყდა თავს

გრიგალმა „მელორიმ“, რომელმაც იაპონიის კუნძულებს მიაღწია, ამომავალი მზის ქვეყანაში ნგრევა და ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება გამოიწვია.

სტიქიის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ერთი მათგანი წაქცეული ხის ქვეშ მოჰყვა.

გრიგალს ოკისპირული წვიმა ახლდა თან. იგი კუნძულ ჰონსიუს დაატყდა თავს. განსაკუთრებით კოკიოს სამხრეთ-დასავლეთ გარეუბნები დაზარალდნენ. დაიტბორა გზები, ქარმა ძირფესვიანად ამოგლიჯა ხეები, სახლებს სახურავები გადახადა.

შეჩერდა მატარებლების მოძრაობა, გადაიდო 300-მდე ავიარეისი. შედეგად მრავალი მგზავრი გზაზე დარჩა.

იაპონიის ცენტრალურ ნაწილში კომპანია „ტოიოტამ“ ერთ-ერთი საწარმოს მუშაობაც კი შეაჩერა.

მიმომხილველების თქმით, სტიქიის მთავარმა დარტყმამ აიჩის პრეფექტურას უწია, სადაც გრიგალი დილით, ადრე გამოჩნდა.

ზოგიერთ ავტომაგისტრალზე ძლიერმა ქარმა სავალი ნაწილიდან მძიმე სატვირთო მანქანები გადაყარა.

ქარის სიჩქარე საათში 198 კმ-ს აღწევდა. ნაშუადღევისთვის გრიგალმა იკლო, მაგრამ სინოპტიკოსების თქმით, კვლავინდებურად ძალიან სახიფათოა.

არსებობს მეწყერების საშიშროება. ეროვნულმა მეტეროლოგიურმა ცენტრმა განაცხადა, რომ მრავალ რაიონში, მათ შორის ტოკიოსა და ოსაკას დასავლეთ, ინდუსტრიულ რაიონში მეწყერების მომეტებული საფრთხე აღინიშნება.

მიეს და გიფუს პრეფექტურებში ათეულ ათასობით სახლი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. მეწყერებისა და წყალდიდობისაგან დაცვის მრავალრიცხოვანი ზომების მიუხედავად გრიგალები იაპონიაში მაინც სერიოზულ ზარალს იწვევენ. 2004 წლის ოქტომბერში გრიგალის შედეგად ტოკაგეში 95 ადამიანი დაიღუპა.

მიმდინარე წლის აგვისტოში გრიგალმა „ეტაუმ“ წყალდიდობა და მეწყერები გამოიწვია, შედეგად არანაკლებ 25 ადამიანი დაიღუპა.

კიდევ ერთმა ძლიერმა ქარიშხალმა, „ქეთსანამ“ ფილიპინებსა და ვიეტნამში ძლიერი ნგრევა და მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოწვია.

გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას აგვისტოში გრიგალი „მორაკოტიც“ დაატყდა თავს. ტაივანში მან 600-მდე ადამიანი იმსხვერპლა.

# მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედი მუსლიმანია

ამერიკული ორგანიზაცია „რიუს“ ექსპერტების გამოკვლევის შედეგების თანახმად, დედამიწის ყოველ მეოთხე მკვიდრს თავი მუსლიმანად მიაჩნია.

ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში 1.57 მილიარდი მუსლიმანი ცხოვრობს, მათგან 60% — აზიის ქვეყნებში.

გამოკვლევას სამი წელი დასჭირდა. სპეციალისტებმა გაითვალისწინეს მოსახლეობის აღწერის, დემოგრაფიული გამოკვლევებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მსოფლიოს 232 ქვეყანასა და ტერიტორიაზე.

როგორც გაირკვა, რუსეთში მუსლიმანების რაოდენობა იორდანიელი და ლიბიელი მუსლიმანების რაოდენობაზე მეტია, გერმანიაში კი უფრო მეტი მუსლიმანია, ვიდრე ლიბანში.

მულსიმანების 20% ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში ცხოვრობს.

გამოკვლევის ავტორების თქმით, შედეგებმა მათი გარკვეული გაკვირვება გამოიწვია, რადგან მუსლიმანების რაოდენობა მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა.

ამ გამოკვლევამ ტრადიციული შეხედულებისაგან, რომელიც მიიჩნევდა, რომ მუსლიმანები არაბები არიან, არაბები კი მუსლიმანები, ქვა ქვაზე არ დატოვა.

ასე მაგალითად, 300 მილიონზე მეტი მუსლიმანი ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც ისლამი უმრავლესობის რელიგია არ არის.

მუსლიმანების უმეტესობა, 87-90% ამ რელიგიის სუნიტური შტოს წარმომადგენელია, 10-13% თავს შიიტებად მიიჩნევს.

ევროპაში 38 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს, რაც ევროპის ქვეყნების მოსახლეობის 5%-ია.

აშშ-იში მუსლიმანთა რიცხვი 2.5 მილიონია, რაც მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებია.

რუსეთში ისლამს 16.5 მილიონი ადამიანი აღიარებს, რაც მოსახლეობის 11.7%-ს შეადგენს.

# დსთ-ს წევრები ორგანიზაციისადმი ინტერესს კარგავენ

მოლდავეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლების თანახმად, კიშინიოვში დსთ-ის ქვეყნების შეხვედრაზე თანამეგობრობის ყველა წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები აპირებენ ჩასვლას.

რაც შეეხება სახელმწიფოს ლიდერებს, ოთხი მათგანი ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

ტაჯიკეთისა და თურქმენეთის პრეზიდენტებმა ემომალი რაჰმონმა და გურბანგული ბერდიმუხამედოვმა სამიტის დროს დუშმანებში ორმხრივი შეხვედრის გამართვა ამჯობინეს.

ყაზახეთისა და უზბეკეთის ლიდერებს ნურსულთან ნაზარბაევსა და ისლამ ქარიმოვს სამიტის უგულებელყოფის მიზეზები არ განუმარტავთ. თანაც თუკი ქარიმოვისათვის ასეთი ქცევა დამახასიათებელია, ნაზარბაევის უარმა ყველა გააკვირვა.

სამიტის დროს ნაზარბაევს რაიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა დაგეგმილი არ აქვს.

ყაზახეთსა და ტაჯიკეთს კიშინიოვში მთავრობის მეთაურები წარმოადგენენ, თურქმენეთში ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი, უზბეკეთს კი მოლდავეთში მისი ელჩი.

მოსკოველი მიმომხილველები ვითარების დრამატიზებისაგან თავის შეკავებას ამჯობინებენ. მიუხედავად ამისა, როგორც ზოგიერთი მათგან აღნიშნავს, თუკი დსთ-ის სამიტზე რუსეთის ყველაზე ქმედუნარიანი პარტნიორები არ ჩადიან, თანამეგობრობის დაკრძალვისათვის შეიძლება ვემზადოთ.

ამასთან, ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობას შეკვეცის ნიშნები არ ეტყობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დსთ-ისადმი ინტერესი თანდათანობით მცირდება.

სამიტის წინ უკრაინის პრეზიდნეტმა ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ თუ მეხსიერება არ ღალატობს, დსთ-ის სამიტებზე მიღებული შეთანხმებებიდან მხოლოდ სამი ან ოთხი პროცენტი თუ შესრულდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ დსთ ნაკლებეფექტურ ინსტიტუტად იქცა, თუმცა, იუშჩენკო კიშინიოვში ჩასვლას მაინც აპირებს.

ბოლო დროს მომავალი სამიტის ყველაზე მთავარ მომენტად იუშჩენკოსა და რუსეთის პრეზიდენტის მომავალ შეხვერას მიიჩნევდნენ, თუმცა, მიმდინარე მომენტში დამკვირვებლები თითქმის 100 პროცენტით დარწმუნებული არიან, რომ ეს შეხვედრა არ გაიმართება, თანაც რუსეთის მიზეზით.

ვიქტორ იუშჩენკომ დმიტრი მედვედევს ორ ქვეყანას შორის ვითარების ნორმალიზების მიზნით პირისპირ შეხვედრის წინადადებით რუსეთის საელჩოს საშუალებით ჯერ კიდევ 15 სექტემბერს მიმართა.

მიმომხილველების თქმით, ცხადია, რომ იუშჩენკოს უარი პოლიტიკური მოტივებით უთხრეს.

იუშჩენკომ ბიბისის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა აუცილებლად მიაჩნია. უარის მიზეზად მან რუსეთის ამბიციები და უკრაინაზე, როგორც ფილიალზე, ან პერიფერიაზე შეხედულება წარმოადგენს.

იუშჩენკოს თქმით, ოთხი წლის განმავლობაში მისი დამოკიდებულება რუსეთთან მხოლოდ პატივცემის, კორექტული დამოკიდებულების დემონსტრაციას წარმოადგენდა, იმავდროულად, არ შეუძლია დაუშვას, რომ უკრაინას მისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის უგულებელყოფის პოზიციებიდან ელაპარაკებოდნენ.

მოლდავეთი დსთ-ს სამიტს ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსით მასპინძლობს. 2010 წელს თანამეგობრობის თავმჯდომარე რუსეთი გახდება.

# ბრიტანელი კონსერვატორები რუსეთს ფულად დახმარებას შეუწყვეტენ



ბრიტანელი კონსერვატორები ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ რუსეთში საერთაშორისო განვითარების პროექტების ფინანსირებას შეწყვეტენ.

კონსერვატორების თქმით, ბრიტანეთის ჰუმანიტარული ბიუჯეტიდან რუსეთისათვის ფულის მიცემა გადასახადების გადამხდელების შეურაცხყოფა და უაზრობაა.

მანჩესტერში, კონსერვატიული პარტიის ყრილობიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა გადაისინჯოს ის წესები, რომლებმაც უნდა განსაზღვროს თუ ბრიტანეთმა რომელ ქვეყანას და რამდენი დახმარება შეიძლება გაუწიოს.

კონსერვატორებმა უკვე გააკრიტიკეს ჩინეთისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის პოლიტიკა. არგუმენტების სახით, მათ განაცხადეს, რომ ქვეყანა, რომელსაც ოლიმპიური თამაშების ორგანიზებისა და კოსმოსური კვლევებისათვის გიგანტური თანხების გადახდა შეუძლია, სიღარიბესთან ბრძოლის მიზნით დახმარებას არ უნდა იღებდეს.

ახლა, როგორც ჩანს, რუსეთის რიგი დადგა. პროექტებს შორის, რომლებიც კონსერვატორების კრიტიკის სამიზნე გახდნენ, არის ის პროექტები, რომლებიც ხანდაზმულ ადამიანებს უფლებების დაცვაში ეხმარება.

კონსერვატორების თქმით, ცხრა მილიონი დოლარი უფრო გაჭირვებული ქვეყნებისათვის შეიძლება დაიხარჯოს. გარდა ამისა, კონსერვატორები აცხადებენ, რომ ბიუჯეტიდან საერთასორისო განვითარებისათვის გამოყოფილ თანხებს შეკვეცენ.

კონსერვატიული პარტიის ყრილობაზე ხუთშაბათს პარტიის ლიდერი დევიდ კამერონიც გამოვიდა. ეს ყრილობა არჩევნებამდე კონსერვატიული პარტიის ბოლო თავიყრილობაა.

როგორც კონსერვატორთა ლიდერმა აღნიშნა, ბრიტანეთს ციცაბო ფერდობზე ასვლა მოუწევს, სამაგიეროდ, ზემოდან ყველაფერი უკეთ ჩანს.

# ექსპერტები ნავთობის მარაგის გამოფიტვას 2020 წლისთვის ელიან

ბრიტანეთის ენერგეტიკული კვლევების საბჭოს მონაცემებით, „იაფი ნავთობის“ ერა დასასრულს უახლოვდება. საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ დღეისათვის მსოფლიოს 10 უდიდესი ნავთობის საბადო გამოფიტვის ნიშნებს ამჟღავნებს.

ანგარიშის ავტორების თქმით, სერიოზული რისკი არსებობს იმისა, რომ 2020 წლისათვის მსოფლიოში ნავთობის მოპოვება პიკს მიაღწევს და შემდეგ კლებას დაიწყებს.

მკვლევრები დარწმუნებული არიან, რომ ყველა ის ნავთობის საბადო, სადაც ამ წიაღისეულის მოპოვება შედარებით ადვილად იყო შესაძლებელი, უკვე დამუშავებულია, მაშინ, როდესაც ახალი მარაგების მოპოვება უფრო რთულ და ძვირადღირებულ მეთოდებს მოითხოვს.

2030 წლისათვის ნავთობის მოპოვების დაცემის თავიდან აცილების მიზნით ამჟამად არსებული საბადოების ორი მესამედის შეცვლა არის საჭირო.

მსოფლიოში არ ცხრება კამათი იმის შესახებ, თუ მაინც როდის მიაღწევს ნავთობის მოპოვების მოცულობა თავის ისტორიულ მაქსიმუმს.

ანალიტიკოსების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს ეტაპი უკვე განვლილია და ნავთობის მოპოვების მოცულობის დაცემა მომავალში სერიოზულ გლობალურ კრიზისს გამოიწვევს.

სხვა ვარაუდით, მსოფლიო მარაგის ამოწურვის და ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია.

ამ კამათში მტყუან-მართლის გამორკვევა საკმაოდ ძნელია, რადგან, როგორც მკვლევრები ამტკიცებენ, მსოფლიოში ჯერჯერობით ნავთობის მარაგის განსაზღვრის მტკიცე კრიტერიუმები არ არსებობს.

ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არ არსებობს ნავთობის მარაგის შესახებ საიმედო მონაცემები, გარდა ამისა, შეუძლებელია დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება. გარდა ამისა, მსოფლიოს სახელმწიფოები და ნავთობის მომპოვებელი კომპანიები ხშირად დაზვერილი მარაგების რაოდენობას მალავენ. კერძოდ, ეს ოპეკის წევრ ქვეყნებს ეხება.

# წყნარი ოკეანე კვლავ იძრა

წყნარ ოკეანეში, არქიპელაგ ვანუატუს მახლობლად ორი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი მოხდა. რეგიონში ცუნამის შესაძლებლობის გაფრთხილება გაავრცელეს, თუმცა, შემდეგ განგაში მოიხსნა.

პირველეი მიწისძვრა, რომლის სიძლიერე 7.8 ბალს შეადგენდა, წყნარი ოკეანის სამხრეთ აკვატორიაში, ვანუატუს კუნძულების მახლობლად მოხდა. ერთი საათის შემდეგ პირველ ბიძგს მეორე, 7.1 ბალი სიძლიერის ბიძგი მოჰყვა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, ეპიცენტრი კუნძულ სანტოდან 294 კმ-ის მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ვანუატუს არქიპელაგში 2000მდე კუნძუული შედის.

მიწისძვრა 35 კმ სიღრმეზე მოხდა. ვანუატუს მიწისძვრას წინ უსწრებდა გამანადგურებელი მიწისქვეშა ბიძგები, რომლებიც კუნძულების, სამოასა და ტონგას მახლობლად მოხდა.

მიწისძვრის შედეგად აღზღულმა ცუნამიმ არანაკლებ 178 ადამიანი სიცოცხლე იმსხვერპლა. მოგვიანებით კიდევ ერთი ძლიერი, 6.7 ბალი სიძლიერის მიწისძვრა ფილიპინებზე მოხდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 9 ოქტომბერი**

**08.00** ან. სერ. "ფლატმანია" **08.30** სერ. **"ჯგუფი"** **09.00** დოკ. ფილმი "გიგანტური თვითმფრინავები" **10.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **11.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ცხოვრება მშვენიერია **13.30** ერისთავის სათვალე **14.30** მოამბე რუსულ ენაზე **15.00** სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** **16.30** ან. სერ. "ფლატმანია" **17.00** სერ. **"ზურგის ქარი"** **18.00** დოკ. ფილმი "პომპიდუს ცენტრი" **19.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **20.00** მოამბე **20.45** "სიზმარვიზია" **21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **22.00** "წინანდლის ბაღის ლაბირინთები" **22.30** წითელი ზონა **23.30** მხ. ფილმი **"დღიური ჩემი შვილებისთვის"** (გ) **01.40** მხ. ფილმი **"შენიღბულები და ანონიმურები"** (15)

**11.00** პარლამენტი **19.00** ან. ფილმი "ფლატმანია" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. **"ჩემი მიწა"** **20.25** დოკ. ფილმი "გიგანტური თვითმფრინავები" **21.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **22.00** ცხოვრება მშვენიერია **23.00** მხ. ფ. **"რატომ უყვარდებათ სულელებს"** (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ჯეოსტარი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერ. **"დონა ბარბარა"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** ქართ. სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"დონა ბარბარა"** **21.55** თოქ-შოუ "პოზიცია" **23.00** ვანოს შოუ **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"ბორნის იდენტიფიკაცია"** (18) (მ. დეიმონი)

**08.00** მულტფილმი **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ჯეკი და ლობიოს ხე"** **15.50** მხ. ფილმი **17.30** პულსი **18.05** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** სერ. **"მარია ემილია"** **22.35** სტუდენტური დემოკრატია **23.40** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.40** სერ. **"ყავა და ლუდი 2"** **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ვიქტორია"** **11.20, 12.40, 14.45** ტვ-მარკეტი **11.40** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **13.00** სერ. **"შაჰის ცოლი სორაია"** **15.00** სერ. **"კლონი"** **16.00** დღის ქრონიკა **17.35** "მისს საქართველო-2009" – დღიური **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"ვიქტორია"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** გასართობი შოუ "ქალები თუ კაცები" **23.00** სერ. **"გმირები 2"** **00.00** მხ. ფილმი **"აფიორა"** (15) (ე. გარსია) **01.45** ქრონიკა **02.00** მხ. ფილმი **"სენსაცია"** (U) (ჰ. ჯეკმანი)

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.50** მხ. ფილმი **"ჭირიანი პარასკევი"** **10.30, 19.30** სერ. **"დაშნათა დედოფალი"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფილმი **"ჩამოსულები"** **14.50** მხ. ფილმი **"ცხოვრების მტკიცებულება"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფ. **"რამდენი ღირხარ"** **00.30** მხ. ფილმი **"ინტაქტო"**

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.15** ნიამორი **10.40** მოკლემ. მხ. ფილმი **11.30** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"განგაში"** **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფილმი **"ერთხელ ველურ დასავლეთში"** **17.30** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** ნიამორი **19.00** სიახლენი **19.15** დოკ. ფილმი **19.30** მხ. ფილმი **"ეი მაესტრო"** **21.05** ახალი აღთქმის განმარტება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** ჩემი ქალაქი **22.40** მოკლემ. მხ. ფილმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. მხ. ფილმი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 9 ოქტომბრისს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**


აშშ დოლარი — 1,6825


ევრო —2,4035


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536


რუსული რუბლი — 0,0533

**ამინდის პროგნოზი 9 ოქტომბრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-18, ღამით — 8-10

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 12-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-17, ღამით — 2-8







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## რობერტო კარლოსი: „რეალში უხელფასოდ ვითამაშებ"

**რობერტო კარლოსს მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში შესანიშნავი წლები აქვს გატარებული. ამჟამად თურქული „ფენერბახჩეს" მცველი რამდენიმე დღით მადრიდს ეწვია, რომელთანაც უამრავი კარგი მოგონება აკავშირებს. რა თქმა უნდა, მისი ესპანეთში ყოფნა ჟურნალისტებს არ გამორჩენიათ, თუმცა მათთვის ყველაზე მოულოდნელი კარლოსის განცხადება იყო, რომელიც ისევ აპირებს „სამეფო კლუბის" თეთრი მაისურის ჩაცმას.**



— ***სასიამოვნოა, რომ ისევ მადრიდში გხედავთ.***

— სულ რამდენიმე დღით ჩამოვედი, ამასთან, რამდენიმე პირადი საკითხის განხილვაც მოვასწარი და კიდევ — მინდოდა ჩემი მეუღლე მარიანუსთვის გამეცნო ქალაქი, რომელშიც უზომოდ ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

— ***ე.ი. მართალია, რომ ივნისში იქორწინეთ?***

— დიახ და ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა ოჯახის შევსებას ველოდებით — ეს იქნება ჩემი მერვე შვილი. ჯერ ადრეა იმის თქმა, ბიჭი იქნება თუ გოგო, მაგრამ, თუ გოგო იქნა, მანუელას დავარქმევთ. მადრიდული ვოიაჟისას ვისარგებლეთ და ბავშვისთვის ტანსაცმელი ვიყიდეთ.

— ***ალბათ, არ გაგიშვიათ ხელიდან შესაძლებლობა, მეუღლისთვის „სანტიაგო ბერნაბეუ" გეჩვენებინათ.***

— მარიანუს ყველა ის ადგილი ვაჩვენე, სადაც კი ფეხი დამიდგამს. რა თქმა უნდა, მას გუნდის მიერ მოპოვებული ჯილდოების დარბაზიც ვაჩვენე, რათა უკეთ შეეგრძნო ჩემი ისტორია.

— ***კიდევ რა არის ახალი თქვენს ცხოვრებაში?***

— ჩვეულებრივ ვაგრძელებ თამაშს „ფენერბახჩეში". ეს ჩემი მესამე სეზონია თურქულ კლუბში, მაგრამ უკვე მივიღე გადაწყვეტილება და დეკემბერში აუცილებლად დავტოვებ იქაურობას.

— ***ამის მიზეზი რა არის?***

— უკვე 36 წლის ვარ, დიდ ფეხბურთში კიდევ 2 წელი თუ დავრჩები. დიდი სურვილი მაქვს, ბრაზილიაში დავბრუნდე და რომელიმე იქაურ კლუბში ვითამაშო. ძალიან მენატრება ოჯახი, ახლობლები, სახლი, ჩემი ქვეყანა.

— ***გაქვთ უკვე რაიმე წინადადება იქაური კლუბებიდან?***

— რამდენიმე კლუბი დაინტერესებულია ჩემით, მაგრამ არის კიდევ ერთი ვარიანტი.

— ***ვერ გაამხელთ?***

— მზად ვარ, „რეალში" 6 თვის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ ვითამაშო. დიდი სურვილი მაქვს, იანვრიდან ივნისის ჩათვლით ისევ მოვირგო ამ კლუბის მაისური და, თუ რამე გამოვიდა, შემდეგ კიდევ ერთი წლით დავრჩე.

— ***ამას სერიოზულად ამბობთ?***

— რა თქმა უნდა და ძალიან ბედნიერიც ვიქნებოდი. „რეალში" უბედნიერესი წლები მაქვს

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## „იავნანა" თბილისში სამ ტენორს ჩამოიყვანს

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ" და მისმა პრეზიდენტმა პაატა ბურჭულაძემ მიიღო გადაწყვეტილება, გააუქმონ 9 ოქტომბერს დანიშნული „სევილიელი დალაქის" პარიზული პრემიერა, რომელიც განახლებულ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მხოლოდ ერთი დღით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და მთლიანად 20 ოქტომბერს დანიშნული აქციის მზადებით არიან დაკავებული.

ფონდ „იავნანაში" გვითხრეს:

— ჩვენ დაგეგმილი გვქონდა, „სევილიელი დალაქის" პარიზული პრემიერა შეგვეთავაზებინა მაყურებლისთვის, მაგრამ ვინაიდან 20 ოქტომბერს კიდევ სხვა ღონისძიება გვქონდა დაგეგმილი, ასე უცბად ორი პროექტის განხორციელებას ველარ ვასწრებდით, ამიტომ „სევილიელი დალაქის" თბილისური პრემიერა აპრილისთვის გადავდეთ, ახლა კი 20 ოქტომბრის აქციისთვის ვემზადებით.

— ***რა აქციაა?***

— თბილისის ფილარმონიაში სამი ტენორის კონცერტი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მარკო ბერტი, რობერტო არონიკა და ჩვენი ფონდის ერთგული მეგობარი, ბადრი მაისურაძე. ეს არის მსოფლიოში აღიარებული პროექტი „3 ტენორი".



გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 9 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**კეთილისმყოფელი დღეა.**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — ისე მოიქეცით, როგორც გული გიკარნახებთ, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **კირჩხიბი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი კარგად იქნება. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თხის რქა** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემები მოგეხსნებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეებს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. დიდგვაროვანი, გათხოვილი იტალიელი ქალის თანმხლები მამაკაცი სეირნობისა და გართობის დროს ძველად; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. ცხენის ერთგვარი სვლა; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზის მონაკვეთი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კატარის დედაქალაქი; 13. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 18. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 20. ინდოელ ქალთა ტანსაცმელი.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. სპეციალური წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 8. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 9. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 10. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 11. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 15. შტატი აშშ-ში; 17. მოხეტიალე ცირკი; 19. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 21. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



— ექიმო, თქვენ ყველა ავადმყოფს ოყნით მკურნალობთ?

— არა, ჭკუისკოლოფებს სისხლის გამოშვებას ვუნიშნავთ.

***

— კაპიტანო, რატომაა, რომ ყველა კაიუტაში აივაზოვსკის სურათები გიკიდიათ?

— ეს სურათები კი არა, ილუმინატორებია.

***

— გადააფარეთ პაციენტს ზეწარი... ბოლომდე...

***

— ახალი ჰალსტუხი გაქვს? თავად იყიდე?

— ჰო.

— ამის შემდეგ სხვას აარჩევინე.

***

— მასწავლებლის პროფესია გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით გატაცებას კატეგორიულად გამორიცხავს...

***

— ქალიშვილო, როგორც ფსიქოანალიტიკოსი, დაბეჯითებით გირჩევთ, უცნობ ადამიანთან დაამყაროთ ინტიმური კავშირი.

— თქვენ რა გქვიათ?

— ალექსი.

— მაშ ასე, ალექსი, თქვენ უკვე გიცნობთ...

გ.თ.

## რამდენად შრომისმოყვარე ხართ

**ტესტი**



***1. თუ საქმე თავიდან არ გამომდის, მისდამი ინტერესს ვკარგავ.***

ა. დიახ. ბ. ხანდახან. გ. არა.

***2. იმ ადამიანებს განვეკუთვნები, ვისთვისაც სამუშაო უპირველესია.***

ა. არა. ბ. ნაწილობრივ. გ. დიახ.

***3. დასვენების შემდეგ მიჭირს სამუშაოში ჩართვა.***

ა. დიახ. ბ. ხანდახან. გ.არა.

***4. ნაცნობ-მეგობრებს უკვირთ, რამდენს ვმუშაობ...***

ა. ეს მე არ მეხება. ბ. ხანდახან. გ. მეც მიკვირს.

***5. არ შემიძლია დაძინება, თუ საქმე დასრულებული არ მაქვს.***

ა. ძალიან კარგად ვიძინებ ბ. ხანდახან. გ. დიახ.

***6. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად შრომისმოყვარე და გულმოდგინე ვარ.***

ა. დიახ. ბ. გარკვეულწილად. დ. არა, ზარმაცი ვარ.

***7. არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ მცონარობა ყველა უბედურების საწყისია...***

ა. არა. ბ. ძალიან კატეგორიული განცხადებაა. გ. დიახ.

**პასუხები**

*პასუხები შეაფასეთ ა. — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა. გ. — 3 ქულა.*

**7-11 ქულა:** მუშაობა თქვენი პრიორიტეტების რიცხვს არ განეკუთვნება. შრომისმოყვარე ნამდვილად არ ხართ.

**12-16 ქულა:** სამუშაოს თავს არ აკლავთ, თუმცა, არც მოვალეობის შესრულებაზე ამბობთ უარს.

**17-21 ქულა:** მზად ხართ, დიდი ხნის განმავლობაში გულმოდგინედ იმუშაოთ დასახული მიზნის მისაღწევად.

გ.თ.